# გილოცავთ ნათლისღებას!

ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

**რომან გოცირიძე: „დღეს საქართველო უძრაობის ხანაშია“**



გვ.3

19 იანვრიდან

ალექსანდრე იასაღაშვილი

შავი ვარდი

ქართული დეტექტივი ტომი 2



ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

პარასკევი, 19 იანვარი, 2018 №15 (7560) ფასი: 50 თეთრი

# ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს წევრს თავს დაესხნენ



გვ.2

„ალეკო კვახაძეს ფულს აწერდნენ. მას ონლაინსესხის აღება მოსთხოვეს“

## ლევან ხაბეიშვილი: „ოცნება“ კანონიერ ქურდებთან და ძველ ბიჭებთან არის შეკრული“



## თამაზ მექიაური: „ქუცნაშვილი თიანეთზე კონტროლს კარგავს“



გვ.4

„ოცნების“ ზედა ეშელონებში მიხვდნენ, რომ ერთი კაცის გამო ხალხთან დაპირისპირება არ ღირს“



## რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალების რეიტინგი კლებადია“



გვ.2

„ნიჰილისტური განწყობები, პოლიტიკურ სპექტრთან ერთად, საზოგადოების პრობლემაც არის“

## რუსებმა საზღვარი ხურჩასთან 200 მეტრით უკან გადასწიეს



გვ.5

## პროკურატურა პრეზიდენტს ურჩევს, თავი შეიკავოს პროკურორების მიმართ კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით მოწოდებებისგან



გვ.3

### სამართალი

გვ.7



**ადვოკატი: „სამსონ ქუთათელაძის მკვლელობასთან დაკავშირებით გიორგი ჭანტურიას ალიბი აქვს“**



**გიორგი ჭანტურიას და: „ჩემს ძმაზე ზეწოლა ხორციელდებოდა, რომ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობა ეღიარებინა“**



**ვანო მერაბიშვილი ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებას არ გაასაჩივრებს**

### ეკონომიკა

გვ.6

**ნუცა აბრამიშვილი: „ჩინეთში ქართული ღვინის კონკურენტი მოლდოვური ღვინო უფროა, ვიდრე ევროპული“**



**„თბილისში 700-მდე ახალი ავტობუსის შემოყვანა იგეგმება“**



**ვარდნის შემდეგ ბიტკოინმა ზრდა დაიწყო**



ISSN 1987-9385

**4** მუნიციპალურ ბაღებში ბავშვების დატოვება შესაძლოა ორი საათით გახანგრძლივდეს

**6** ბათუმში მიკროავტობუსით მგზავრობის ტარიფები 10 თეთრით გაიზარდა

**4** მეტროსადგური „გურამიშვილი“ მგზავრებს 15 მარტამდე ვერ მოემსახურება

**6** დარღვევით მიმდინარე სამუშაოების გამო 58 დღეში 54 სამშენებლო ობიექტი შეჩერდა

# ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს წევრს თავს დაესხნენ

## „ალეკო კვახაძეს ფულს აწერდნენ. მას ონლაინსესხის აღება მოსთხოვეს“

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური საბჭოს წევრ ალექსანდრე კვახაძეს თბილისში, ცინცაძის ქუჩაზე, თავს დაესხნენ და სცემეს.

დაზარალებული ამ შემთხვევას თავის პოლიტიკურ მოღვაწეობას არ უკავშირებს და ჩვეულებრივ კრიმინალად განიხილავს.

კვახაძე ამბობს, რომ მისთვის უცნობი პირები თანხის გამოძალვას ცდილობდნენ.

– მთხოვეს, რომ გარკვეული თანხა, რომელიც დაახლოებით ორჯერ აღემატება ჩემს ყოველთვიურ შემოსავალს, მიმეცა მათთვის. ასევე მთხოვდნენ, რომ თანხა ონლაინსესხის სახით გამომეტანა, რაზეც პრინციპული და კატეგორიული უარი ვუთხარი, რის შემდეგაც უკვე წამოვიდა მუქარა და შეურაცხყოფა. ამის მერეც რომ ვთქვი უარი, მერე უკვე განხორციელდა ფიზიკური თავდასხმა ჩემზე, – განაცხადა კვახაძემ.



ალეკო კვახაძეზე თავდასხმას პოლიტიკას არც ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი უკავშირებს. მისი განცხადებით, ეს თავდასხმა იმ მდგომარეობის კიდევ ერთ-ერთი გამოვლინებაა, რომელიც დღეს საქართველოშია.

ვინ და რა უწყობს ხელს კრიმინალების თარეშს ქვეყანაში, რა როლი შეიტანეს „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში კანონიერმა ქურდებმა, რა საფრთხის წინ დგას ქვეყანა? – ამის შესახებ ლევან ხაბეიშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ლევან ხაბეიშვილი:**

– ის, რაც ალეკო კვახაძესთან დაკავშირებით მოხდა, მის პოლიტიკურ მოღვაწეობას არ უკავშირდება. მის მდგომარეობაში ხვალ ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება აღმოჩნდეს.

დარწმუნებული ვარ, ასეთი პრობლემები სხვებსაც შეემთხვათ, მათგან განსხვავებით, ალეკომ ამაზე საუბარი გადაწყვიტა და ყველას გააგებინა. ის ძალიან სწორად მოიქცა.

იმის მტკიცებას არ დავიწყებ, რომ ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება ძალიან მძიმეა. ამას ყველა გრძნობს. ბევრიც რომ ვმალოთ, ფაქტი სახეზეა – ბავშვები ერთმანეთს ხოცავენ. ბიზნესმენი საკუთარ კაბინეტში ჩაცხრილეს. ვიღაცა ტიპმა, რომელიც ღამის კლუბში არ შეუშვეს, დაცვის წევრები და პოლიციელი დაჭრა. სასამართლომ ეს ადამიანი გირაოთი გაათავისუფლა. საზოგადოების პროტესტი რომ არა, პოტენციური მკვლელი თავისუფლად ივლიდა.

### ლევან ხაბეიშვილი: „ოცნება“ კანონიერ ქურდებთან და ძველ ბიჭებთან არის შეკრული“

დღე ისე არ გავა, რამე საშინელება არ მოხდეს. კრიმინალებს თავი დავანებოთ, ახლახან არ იყო, მსოფლიოში წითელი ცირკულარით ძებნილი ტერორისტი ჩვენ გვერდით რომ ცხოვრობდა?! მისი თანმხლები პირები იმდენად დაცულად გრძნობდნენ თავს, რომ სატელეფონო ჯიხურებშიც კი დადიოდნენ.

საიმედოს ვერაფერს გეტყვით და არც ნიშნისმოგებით ვაპირებ საუბარს. თავიდან ჩვენ, ნაციონალური მოძრაობა, ვაკეთებდით პოლიტიკურ განცხადებებს, „ქართულ ოცნებას“ ვაფრთხილებდით, რომ კრიმინალი მოიმატებდა. მათ იმდენი დამნაშავე გამოიყვანეს ციხიდან, ეს გარდაუვალი იყო.



ჩვენ ჰუმანიტარული აქტის წინააღმდეგი კი არ ვიყავით, კრიმინალებისა და ჩახალიანის გამოშვებას ვეწინააღმდეგებოდით. ჩახალიანი სულ სხვა პრობლემაა და ამაზეც უნდა აგოს ხელისუფლებამ პასუხი.

ერთი ხელის მოწერით ამდენი ყაჩაღისა და დამნაშავის გარეთ გამოყვანა იყო კრიმინალის წახალისება. გამოშვებულებმა შესაძლოა დანაშაული აღარ ჩაიდინონ, მაგრამ მათმა გამოსვლამ პოტენციურ დამნაშავეებს გაუჩინა განცდა, რომ ციხეს აქვს ორი კარი – ერთით შეხვალ და მეორით გამოხვალ.

ამ ხელისუფლების პირობებში ციხეს მართლა ორი კარი აქვს. ზოგიერთ დამნაშავეს საერთოდ არ უშვებენ ციხეში.

საქართველოში უკვე ქუჩურ-ქურდული მენტალობა გახდა პრობლემა, რაც რამდენიმე წლის წინ არც კი დაგვესიზმრებოდა. მივმართავ საზოგადოებას, გაიხედ-გამოიხედონ და კარგად დააკვირდნენ, რა ხდება მათ გარშემო.

კრიმინალური ავტორიტეტები თავისუფლად დადიან, საქმეებსაც არ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალების რეიტინგი კლებადია“

## „ნიჰილისტური განწყობები, პოლიტიკურ სპექტრთან ერთად, საზოგადოების პრობლემაც არის“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ენდიაის“ მიერ გამოქვეყნებულ პოლიტიკური რეიტინგის შედეგებზე საუბრობს.



***– ბატონო რამაზ, „ენდიაის“ მიერ გამოქვეყნებულმა პოლიტიკურმა რეიტინგებმა რა რეალობა დადო? ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, „ქართულ ოცნებას“ 27% მისცემდა ხმას, ნაციონალურ მოძრაობას – 10% და 3%-ით მესამე ადგილზე გავიდოდა „ევროპული საქართველო“.***

– „ქართული ოცნება“ არის პირველ ადგილზე 27%-ით, მაგრამ, სანამ ნაციონალური მოძრაობა მეორე ადგილს დაიკავებდეს 10%-ით, მანამდე ძალიან დიდი სიცარიელეა. ეს ადგილი ნიჰილისტურ განწყობებს უკავია. 30% კვლავ ნიჰილისტურად არის განწყობილი. ეს ძალიან მაღალი მაჩვენებელია.

***– მთავარი მაინც დაუძლეველი ნიჰილისტური განწყობაა, რაც ამ კვლევამ დადო?***

– დიახ, ნამდვილად ასეა. ეს არის ის, რაც წითელ ხაზად გასდევს ქართულ პოლიტიკურ რეალობას. თითქოს ეს მეორეხარისხოვანია, არადა, უმთავრესი ეს არის. ნიჰილისტურმა განწყობამ შეიძლება ძალიან მძიმე კვალი დატოვოს და პროცესებზე გავლენა იქონიოს. მაგალითად მოვიყვანდი ადგილობრივ არჩევნებს, კონკრეტულად თბილისის მერის არჩევნებს. სწორედ ამ განწყობილებამ ამოატივტივა ელისაშვილი და მეორე ადგილზე ააგდო.

ნიჰილისტური განწყობა აქვს არა მხოლოდ იმ ამომრჩეველს, რომელიც სახლში რჩება, არამედ იმ ადამიანებსაც, რომლებიც არჩევნებზე მიდიან, მაგრამ არცერთ პარტიასა და მკვეთრად გამოხატულ პოლიტიკოსს კი არ აძლევენ ხმას, არამედ – პოლიტიკისგან შორ მდგომ ადამიანს. ეს სერიოზულად არის დამაფიქრებელი გარემოება.

***– „ენდიაის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კვლავ არაპოპულარულია საქართველოში პოლიტიკა და პარტიები. ამ მიმართულებით არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ ზოგადად პოლიტიკურ სპექტრს მოუწევს სერიოზული მუშაობა. სათანადოდ ვერ აცნობიერებს ამ პრობლემას პოლიტიკური სპექტრი?***

– შექმნილი სიტუაცია არ არის მხოლოდ მმართველი ძალის თავის ტკივილი. ეს არის პოლიტიკური სპექტრისა და ასევე საზოგადოების პრობლემაც. ქვეყნის პრობლემაა, რომ საქართველო რჩება ერთპარტიული მმართველობის ნიშნის ქვეშ. ეს მოცემულობა მივიღეთ არა იმიტომ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ განსაკუთრებული რამ გააკეთა, არამედ იმიტომ, რომ სხვებმა არაფერი გააკეთეს.

ხელისუფლებას თავისი რეიტინგი აქვს და ის ვერ იზრუნებს ოპოზიციის რეიტინგზე. ამ მხრივ ხელისუფლებას შეუძლია მშვიდად იყოს, მაგრამ ამის უფლება არ აქვს დანარჩენ პოლიტიკურ სპექტრს. ოპოზიციის უუნარობამ შეიძლება ქართულ პოლიტიკაში კონკურენცია მოსპოს და ეს იქნება ერთპარტიული მმართველობის საწინდარი, რაც უკვე არის ამ ქვეყნის მოქალაქეების პრობლემა. ამან შეიძლება ქართული პოლიტიკა წაიყვანოს იმ მდგომარეობისკენ, რომელიც 70 წლის განმავლობაში გვქონდა ერთპარტიული კომუნისტური რეჟიმის სახით. მე ამ საფრთხეზე ვამახვილებ ყურადღებას. ამდენად, ამ პასუხისმგებლობას პოლიტიკურ სპექტრთან ერთად საზოგადოებაც ინაწილებს.

***– რის გაკეთება შეუძლია ამ შემთხვევაში საზოგადოებას?***

– საზოგადოებას უნდა შეეძლოს ახალი პოლიტიკური ძალის გენერირება. თუ ამის უნარი არ აქვს, მაშინ ეს სერიოზული პრობლემაა.

***– პოლიტიკური რეიტინგის გადანაწილებას რომ დავუბრუნდეთ, კლების ტენდენცია უფროა ასახული ამ მაჩვენებლებში თუ ზრდის?***

– ტენდენციის დონეზე ეს უფრო კლების რეიტინგია, ვიდრე ზრდის. ჩვენთან, ხომ იცით, როგორ არის, პარტიული სიის სათავეში მოქცეული ერთი ან ორი პიროვნება თამაშობს გამწევი ძალის როლს და სწორედ ამ პიროვნებებზე იქნება ბევრი რამ დამოკიდებული, მაგალითად, საპარლამენტო არჩევნებზე.

***– პიროვნებები ახსენეთ და ამავე კვლევაში მაჟორიტარულ ოლქებში გამოკითხულთა უმრავლესობამ არ იცის, ვინ არის მისი მაჟორიტარი.***

– 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ეს პრობლემა გვაქვს და ეს არის უფრო იმ პიროვნების პრობლემა, რომელიც ფიქრობს, რომ მორჩა, ის უკვე აირჩიეს და ამას იქით არაფერი ესაქმება ხალხთან. მოსახლეობის პრობლემაც არის ეს, რომ ის ასეთ არჩევანს აკეთებს. ესეც ორმხრივი პრობლემაა.

***– ალბათ ამიტომ არის, რომ მაჟორიტარულ არჩევნებში ამა თუ იმ პარტიიდან კანდიდატი ყოველთვის იცვლება.***

– დიახ, სწორედ ამის გამოძახილია ეს ცვლილება, აბა, თუ წარმატებულია ესა თუ ის კანდიდატი და მისი მუშაობით ხალხი კმაყოფილია, მეორე არჩევნებზე რატომ უნდა შეცვალო?! ეს პრობლემა ჰქონდა და აქვს ყველა დროის მმართველ პარტიას, როგორც მინიმუმ, უცნობი მაინც არ უნდა იყო იმ მოსახლეობისთვის, რომელმაც აგირჩია.

***– ნაციონალური მოძრაობის წევრები ამბობენ, რომ უნდა თუ არ უნდა ხელისუფლებას, ნაციონალური მოძრაობა კვლავ რჩება მთავარ ოპოზიციურ ძალად. ისინი კვლავ მეორე ადგილს იკავებენ.***

– დიახ, ეს ფაქტია. ნაციონალური მოძრაობა მეორე ადგილს იკავებს 10%-ით, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია, რა ტენდენციას უჩვენებს ნაციონალური მოძრაობა – ეს კლების ტენდენციაა თუ მატების. ეს არის კლების ტენდენცია. 2012 წლის არჩევნებზე მათ 40% აიღეს, 2016 – 20%. ასე ჩამოდის ეს რეიტინგი, მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ თავისი ერთგული ამომრჩეველი შეინარჩუნა მთელი ამ ხნის განმავლობაში. მათ მხარდაჭერა შეინარჩუნეს, მაგრამ ეს მხარდაჭერა ნელ-ნელა იკლებს. ამიტომ ნაციონალების რიხიან განცხადებაში, რომ ისინი მეორე ადგილზე არიან, ცოტა პესიმიზმს შევიტანდი, გააჩნია, რამდენი ქულით, რა ტენდენციის ფონზე ხარ მეორე ადგილზე.

***– კიდევ ერთი კითხვა, რომელიც „ენდიაიმ“ დასვა, საკონსტიტუციო რეფორმას ეხებოდა. აღმოჩნდა, რომ ამის შესახებ მოქალაქეების უმრავლესობამ არაფერი იცის, არადა, საუბარია ქვეყნის მთავარ კანონზე. სათანადოდ ვერ მივიდა ეს ინფორმაცია მოსახლეობამდე თუ ეს ის სფეროა, სადაც ინტერესი ნაკლებია?***

– ბევრი მიზეზი შეიძლება იყოს, თუ რატომ ვერ მოხვდა ეს საკითხი ადამიანების ინტერესის სფეროში. ერთი, შეიძლება სათანადოდ არც იყო გაპიარებული, რაც „ქართული ოცნების“ ქრონიკული ხარვეზია, მეორე – ინტერესიც შეიძლება ნაკლებია, ახალი კონსტიტუცია არ ცვლის ადამიანების ცხოვრების რეალობას. ბევრ ევროპულ ქვეყანაშიც არ იციან არათუ კონსტიტუციის ნიუანსები, არამედ ისიც კი, თუ ვინ არიან მათი ქვეყნის პირველი პირები. მე ვერ ვიტყვი, რომ ეს მაინცდამაინც ევროპული დონის მაჩვენებელია, მერჩივნა, ევროპული დონე ცხოვრების წესში ყოფილიყო, მაგრამ ალბათ ეს არ არის ისეთი საგანგაშო მაჩვენებელი, როგორც სხვა რამ, რაზეც უკვე ვისაუბრეთ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რომან გოცირიძე: „დღეს საქართველო უძრაობის ხანაშია“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე **რომან გოცირიძე** აფასებს.

***– ბატონო რომან, ყოველდღიურად გვესმის შეფასებები, რომ ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია საგანგაშოა. როგორია თქვენი შეფასებები, რა ხდება რეალურად ჩვენს ქვეყანაში?***

– დღეს ჩვენი ქვეყანა შესულია უძრაობის ხანაში. საბჭოთა კავშირის დროს ბრეჟნევის მმართველობის ბოლო პერიოდს ეძახდნენ უძრაობის ხანას, იმიტომ, რომ ერთ ადგილას იტკეპნებოდა ქვეყანა და მერე გვახსოვს, ჩამოიშალა საბჭოთა კავშირი. დაახლოებით ეს მდგომარეობაა საქართველოშიც, ვართ ხუთწლიან უძრაობის პერიოდში.

***– იმის თქმა გინდათ, რომ ერთ ადგილს ვტკეპნით და არაფერი კეთდება?***

– თუკი რაიმე კეთდება, ეს ყველაფერი არის ძველი ინერციით, ანუ ძველი დაწყებული რეფორმები დღემდე იძლევა შედეგს. როგორიც არის იმავე საგადასახადო სფეროში თუ სხვა მიმართულებით, თუნდაც იმავე კრიმინალთან ბრძოლის თვალსაზრისით. ნელ-ნელა ეს ყველაფერი, რაც მაშინ იყო სიახლე, ამ ხელისუფლების ხელში მოძველდა, გაცვდა და, თუ არ მოხდება სერიოზული განახლება, სისტემა გამოდის მწყობრიდან და ეს სისტემაც გამოვიდა.

***– კრიმინალი ახსენეთ და ამბობენ, რომ ამ კუთხითაც დამძიმდა ვითარება. ასეა?***

– ძალოვან სტრუქტურებს კიდევ უფრო მძაფრად დაეტყო ეს ჩამოშლილი სტრუქტურა. ყოველდღე ადამიანების ხოცვა, ბანკების ძარცვა და ნელ-ნელა ბრუნდება ქვეყანაში კრიმინალური მსოფლმხედველობა.

***– კრიმინალურ მსოფლმხედველობაში რას გულისხმობთ?***

– ეს არის საგანგაშო ვითარება და ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ კრიმინალურ წრეებში გაჩნდა განცდა, რომ შეიძლება ადამიანს შერჩეს დანაშაული, თუ მას ჰყავს მფარველი. ეს იყო მთავარი, რაც ასაზრდოებდა კრიმინალს შევარდნაძის პერიოდში, რომ შესაძლებელია დანაშაულის გამოსყიდვა. ეს გამოსყიდვა შეიძლებოდა ფულით, შეიძლებოდა კრიმინალური ავტორიტეტის ძალით, შესაძლებელი იყო პოლიტიკური მხარდაჭერით, ასევე გავლენიანი პირის მხარდაჭერით, რომელსაც ინტელიგენცია ერქვა და რომელიც ხელისუფლებას სჭირდებოდა, როგორც მისი იდეოლოგიური საყრდენი, ანუ რეალურად დანაშაულისათვის სასჯელის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო სხვადასხვა ფორმით.

***– ახლაც იგივე ხდება?***

– ნელ-ნელა ეს უკვე აღდგა ცნობიერებაში და ჩვენ ვხედავთ, რომ თუ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერია, ან პარტიის წევრი, ან ნათესავი, ან თუ ივანიშვილის გარემოცვაშია, მაშინ ეს ადამიანები არიან ხელშეუხებლები. ჩვენ ვხედავთ, როგორი შერჩევითი სამართალია ქვეყანაში! ოპოზიციის წარმომადგენელს წვრილმანისთვის სჯიან, ხოლო ხელისუფლებასთან დაახლოებულს პასუხს არ აგებინებენ. აი, ეს არის შერჩევითი სამართლიანობის პრინციპი, რომელიც არღვევს სისტემას და დღეს ამ სისტემის რღვევის პროცესში ვართ.

***– ეკონომიკაზეც ვისაუბროთ.***

– ეკონომიკურად ქვეყანა არის სტაგნაციაში. შეჯამდება 5-წლიანი შედეგები, გამოქვეყნდება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი და დავინახავთ, რომ ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტი იქნება 2017 წელს ერთი მილიარდით ნაკლები, ვიდრე ეს იყო 2012-ში, ერთი მილიარდი დოლარით.

***– რატომ დოლარით?***

– შეიძლება ვიღაცამ თქვას, რატომ ვზომავთ დოლარებში?! კი, სხვადასხვანაირად იზომება. დოლარებშიც იზომება, თუ გვინდა, რომ ქვეყნები ერთმანეთს შევადაროთ, ლარებშიც იზომება, ინფლაციის გათვალისწინებაც ხდება. მსყიდველობისუნარიანობის პარიტეტი ჰქვია ერთ-ერთ მეთოდს, რომლითაც იზომება და გაზომვის უამრავი მეთოდი არსებობს. თუმცა, მარტივად რომ ვთქვათ, დღეს საქართველომ მთელი თავისი რესურსი რომ დახარჯოს უცხოეთში, რა რაოდენობის საქონელს შეიძენდა? დღეს ის ერთი მილიარდით ნაკლებ საქონელს ყიდულობს, თავისი



დოლარის სიმდიდრით, ვიდრე მას ეს შეეძლო 5 წლის წინ.

***– ეს რაზე მიგვანიშნებს?***

– ეს იმას ნიშნავს, რომ გაუარესდა ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოტენციალი. ამიტომ, საბოლოო ჯამში, ყველა ეს მაჩვენებელი ასახვას ჰპოვებს სიღარიბეში. თუკი ქვეყანაში სიღარიბე მცირდებოდა 2010-დან 2015 წლამდე, 2016-სა და 2017-ში სიღარიბემ უკვე დაიწყო ზრდა.

***– ეს რით იყო განპირობებული?***

– ეს გამოწვეული იყო ლარის გაუფასურებით, დაბალი ეკონომიკური ზრდით, ფასების მატებითა და მთლიანად ეკონომიკაში ერთი ადგილის ტკეპნით. იმით, რაც ახლა ჩვენთან არის, საქართველო განწირულია უკიდურესი სიღარიბისთვის, იმიტომ რომ 4-5%-იანი ეკონომიკური ზრდა არაფერს ნიშნავს ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის. ის, რომ ვიღაცას ვადარებთ, თურმე რეგიონში ვიღაცაზე უკეთესი ვართ, ან მეზობელს, ან ვილაც სხვას, ეს არასერიოზულია.

***– რატომ არის არასერიოზული, თუ რომელიმე ქვეყანას ვუსწრებთ ეკონომიკური თვალსაზრისით?***

– იმიტომ, რომ ჩვენ უნდა შევადაროთ იმას, თუ რა ვიყავით ხუთი წლის წინ და რა ვართ ახლა!

***– ხშირად გვესმის თბილისის მთავრობაზე საყვედურები, ითქვა, რომ საგრძნობლად იკლო კალაძის რეიტინგმა. მას მერე, რაც ის მერი გახდა, ბევრ არაპოპულარულ გადაწყვეტილებას იღებს თბილისის მერია, თუნდაც საბავშვო ბაღების თემა ავიღოთ. ამ კუთხით რა ხდება?***

– დღეს მერსა და კონკრეტულ პერსონებზე საუბარი არ არის მნიშვნელოვანი, რადგან საქართველოს მთელი ხელისუფლება დაკომპლექტებულია არაკომპეტენტური ადამიანებით. მათ არ აქვთ ჩამოყალიბებული პროგრამა, არ აქვთ ხედვა, ინერციით მიჰყვებიან იმას, რაც დღემდე იყო გაკეთებული. ამ ხუთი წლის განმავლობაში ერთი ახალი იდეაც კი არ წამოსულა მათგან. მათი ერთადერთი იდეა არის ბიუჯეტიდან ფულის ფლანგვა.

პერსონალიებზე თუ ვლაპარაკობთ, იმდენად სუსტი შემადგენლობაა, ნებისმიერი მინისტრი დაასახელეთ და გაგიკვირდებათ, რა უნდა ამას მინისტრადო. ამათ არც მიზნის დასახვა შეუძლიათ და მით უმეტეს – დასახული მიზნის მიღწევა. ამას დამატებული ყველაზე უარესი, რაც ჩვენ დაგვატყდა თავს.

***– რაღაა ამაზე უარესი?***

– ის, რომ ადამიანები, რომლებიც ქვეყანას მართავენ, რეალურად არ მართავენ ქვეყანას კანონებითა და კონსტიტუციის მიხედვით. ნებისმიერ გადაწყვეტილებას უთანხმებენ ივანიშვილს, არაფორმალურ მმართველს, რომელთანაც წინათ თუ ყველა მიდიოდა, ახლა ყველა ვერ მიდის.

***– ეს რას ნიშნავს, ყველა ვერ მიდის?***

– საკონტაქტო პირი ჰყავს ერთი თუ ორი და რეალურად ამ შუამავლის მეშვეობით მიდის და მოდის ინფორმაციები. არავინ იცის, რა მოეწონება ან რა არ მოეწონება. ქვეყანას მართავს ადამიანი, რომელსაც არა აქვს არანაირი არც უფლებამოსილება და არც პასუხისმგებლობა.

ქვეყნის მართვა არის ცოცხალი ორგანიზმი. ივანიშვილამდე მნიშვნელოვანი ინფორმაცია რომ მივიდეს, სამი თვე უნდა ელოდონ, რომ ამ შუამავალმა მას ეს ინფორმაცია მიაწოდოს. საქმე კი არ ითმენს და ფუჭდება ამ ლოდინში! ეს ეხება როგორც საკადრო დანიშვნებს, ასევე გადაწყვეტილების მიღებას. ქვეყანა ძალიან მძიმე და უმართავ მდგომარეობაშია და ეს დაეტყო კიდეც.

## პროკურატურა პრეზიდენტს ურჩევს, თავი შეიკავოს პროკურორების მიმართ კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით მოწოდებებისგან

საქართველოს პროკურატურა პრეზიდენტს უსაფუძვლო განცხადებების გაკეთებაში ადანაშაულებს და ურჩევს, თავი შეიკავოს პროკურორების მიმართ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით მოწოდებებისგან.




როგორც საქართველოს პროკურატურის განცხადებაშია ნათქვამი, ბოლო დღეების განმავლობაში, საქართველოს პრეზიდენტის და მისი ადმინისტრაციის მხრიდან, საქართველოს პროკურატურისა და პროკურორების მიმართ გაკეთებულმა უსაფუძვლო განცხადებებმა სისტემატური ხასიათი მიიღო.

– ჩვენ ვისმენთ განცხადებებს, რაც დაკავშირებულია კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების წარმოებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასთან, რაც პროკურატურის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. შევახსენებთ ყველას, რომ საქართველოს პროკურატურა და პროკურორები თავის საქმიანობაში არიან დამოუკიდებელნი და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს. საქართველოს პროკურატურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით და კანონმდებლობით, ხოლო პროკურორის საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია და ისჯება კანონით. გაკეთებული განცხადებები კონკრეტულ საქმეებზე, რომლებზეც ჩატარებულია მრავალმხრივი და სრულფასოვანი გამოძიება, ასევე მიმდინარეობს სასამართლო განხილვები და არსებობს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენები, არის არაკომპეტენტური, სუბიექტური და მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. ერთადერთი ორგანო, რომელსაც პროკურატურის გადაწყვეტილებების რევიზია შეუძლია არის სასამართლო, რაც ასევე გარანტირებულია კონსტიტუციით, – ნათქვამია განცხადებაში.



პროკურატურის შეფასებით, პრეზიდენტის და მისი ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განცხადებები აშკარად ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ისინი ცდილობენ შეითავსონ ხელისუფლების სხვა შტოების – პროკურატურისა და სასამართლოს ფუნქციები, რაც ცალსახად სცილდება მათი კომპეტენციის ფარგლებს.

საქართველოს პროკურატურა მოუწოდებს პრეზიდენტს თავი შეიკავოს მოწოდებებისგან პროკურორების მიმართ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, რადგან ნებისმიერი მსგავსი მოწოდება ტოვებს პროკურატურაზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობის შთაბეჭდილებას, რაც წინააღმდეგობაში მოდის ზოგადად პროკურატურის მუშაობის დამოუკიდებლობის პრინციპთან.

– პროკურატურა მოქმედებდა და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით მკაცრად განსაზღვრული საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და ვერც ერთი პოლიტიკური პირის განცხადება ანდა ქმედება ვერ მოახდენს ზეგავლენას პროკურატურის, თუ ნებისმიერი პროკურორის საქმიანობაზე, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

## ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს წევრს თავს დაესხნენ

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ჩევენ და ფულის შეწერაც დაიწყეს.

ალეკო კვახაძისთვის სწორედ ფულის შეწერას ცდილობდნენ. ამ ადამიანს კარგად ვიცნობ და შემიძლია გითხრათ, რომ უწესიერესი ადამიანია. მას მოსთხოვეს 600 ლარი. ეს 600 ლარი, როგორც ალეკომ თქვა, მისი ორი თვის ხელფასია. ამის შემდეგ მას ონლაინსესხის გამოტანა მოსთხოვეს.

დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრ ადამიანს შეაწერეს უკვე ფული, მაგრამ ისინი ამის შესახებ საუბარს ერიდებიან. ალეკომ ამაზე ხმამაღლა თქვა და ამით ბევრი ადამიანი დაიცვა. ამაზე თავად საზოგადოებას უნდა ჰქონდეს პროტესტი. არც შსს და არც ძალოვნები არაფერს აკეთებენ, კრიმინალებს არც მათი ეშინიათ და არც კანონის.

***– თუ კრიმინალებს არც პოლიციის ეშინიათ და არც კანონის, საზოგადოებამ რა უნდა მოიმოქმედოს მათ წინააღმდეგ?***

– საზოგადოებას ბევრი რამე შეუძლია. არსებული სიტუაციიდან გამოსავალიც არსებობს.

***– ყველა ამბობს, რომ გამოსავალი არის, მაგრამ რა არის ეს გამოსავალი?***

– გამოსავალი კრიმინალებთან დაკავშირებული ხელისუფლების შეცვლაშია. ხალხმა ეს ხელისუფლება უნდა შეცვალოს. სხვანაირად რეალობა არ შეიცვლება. „ქართული ოცნება“ ის პარტიაა, რომლის საარჩევნო კამპანიასაც კანონიერი ქურდები ატარებენ, ძველი ბიჭები კი ამ პარტიის კოორდინატორებად დგანან საარჩევნო უბნებზე.

ხელისუფლება, რომელიც ლავას ოღლის სხვა ქვეყანაში გააცილებს, როგორ დაამარცხებს კრიმინალს? ან რას ვითხოვთ ხელისუფლებისგან? მათი წყალობით ტერორისტი ჩატაევი თავისუფლად დადიოდა თბილისში.

***– ზემოთ შეწყალება ახსენეთ და თავის დროზე ჩატაევიც ამათ მიერ იქნა შეწყალებული.***

– ეგ ცალკე საუბრის თემაა. „ქართულმა ოცნებამ“ ჩატაევი და ჩახალიანი სააკაშვილის პოლიტპატიმრებად შერაცხა. მათ მიერ გამოშვებულმა ჩატაევმა 2015 წელს სტამბოლის აეროპორტი ააფეთქა. მთელი მსოფლიო მას ეძებდა, ეგ კიდევ აქ დადიოდა თავისუფლად.

ხელისუფლებას ამაზე ბევრი განმარტება აქვს გასაკეთებელი. ყველას კარგად გვახსოვს მათი განცხადებები, როცა ჩატაევი ციხიდან გამოიყვანეს. ახლა პოზიციების შეცვლა არ უშველით. ეგ ზლაპრები „ქართული ოცნების“ ოფისში მოყვნენ.

„ქართული ოცნება“ ის პარტიაა, რომელმაც გარდაცვლილთა სულებით ივაჭრა. ყველას გვახსოვს მათი განცხადებები გირგვლიანისა და რობაქიძის მკვლელობებზე. ვაღიარებ, რომ ეს იყო დანაშაული და ძალიან ცუდი ამბავი. ასეთი დანაშაულებისა და შეცდომების გამოა ნაციონალური მოძრაობა დღეს ოპოზიციაში.

მე ის მაინტერესებს, ახალგაზრდების მკვლელობას რომ გვაბრალებდნენ და ამით ქულებს იწერდნენ, თავად რატომ მოკლეს მძინარე მაჩალიკაშვილი?! ის ვიდეო, სადაც მაჩალიკაშვილი ჩატაევის ბანდის წევრთან გადაადგილდება, არაფერს ამტკიცებს. ამ ვიდეოში სხვა ახალგაზრდაც ჩანს, რომელიც სუსში მშვიდად დაიბარეს დაკითხვაზე.

„ქართული ოცნების“ სასამართლომ მსოფლიო დონის ტერორისტი ციხიდან გამოუშვა, 3 ადამიანის დამჭრელს გირაო აკმარა და ირაკლი ჩხვირკიას ფეისბუქზე გამოქვეყნებული სტატუსის გამო ლამის სახელმწიფო გადატრიალება დააბრალა.

გამოსავალი, კიდევ ერთხელ ვამბობ, ხელისუფლების შეცვლაშია. სხვანაირად არაფერი შეიცვლება.

მე რამდენჯერმე ვახსენე ხელისუფლების შეცვლა. მართალია, ნაციონალურ მოძრაობას წარმოვადგენ, მაგრამ არ ვამბობ, რომ „ოცნება“ ჩემი პარტიით უნდა ჩანაცვლდეს.

მიმაჩნია, რომ ხელისუფლებაში ის ხალხი უნდა მოვიდეს, რომლებმაც საქმის კეთება იციან და ეს ქვეყანა მართლა უყვართ. საქართველოში ასეთი ადამიანები ჯერ ისევ არიან. პროფესიონალები და წესიერი ხალხი ნაციონალურ მოძრაობაშიც ბევრია.

***– ამას მოსახლეობა არ დაიჯერებს. ნაციონალებს 9 წელი დღემდე წამოსაძახებელი გაქვთ.***

– იმ 9 წლის განმავლობაში დაშვებულმა შეცდომებმა გადაგვიყვანა ოპოზიციაში. ნაციონალურ მოძრაობაში ის ხალხი დარჩა, რომლებსაც 9 წლის განმავლობაში საშინელებები არ ჩაუდენია. ის პირები, რომელთა გამოც ხალხი ვერ გვიტანდა, პარტიიდან წავიდნენ.

9 წელიწადზე ლაპარაკი უნდა დავამთავროთ. არც მე ვაპირებ „ოცნების“ 5 წელიწადზე საუბარს, რომელმაც ქვეყანა მძიმე ვითარებამდე მიიყვანა. ეს პოლიტიკურ გუნდაობას ემსგავსება, საქართველოს კი ამის დრო არ აქვს. ხელისუფლება უნდა შეიცვალოს და ქვეყნის მართვა ხელში პროფესიონალებმა აიღონ. მაშინ კრიმინალი მართლა დამარცხდება.

# თამაზ მეჭიაური: „ქუცნაშვილი თიანეთზე კონტროლს კარგავს“

## „ოცნების“ ზედა ეშელონებში მიხვდნენ, რომ ერთი კაცის გამო ხალხთან დაპირისპირება არ ღირს

შორენა მარსაგიშვილი



თიანეთში ფშაური ელ კლასიკო დასასრულს უახლოვდება. ოპოზიციონერ მერ თამაზ მეჭიაურის განცხადებით, დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი რაიონზე კონტროლს კარგავს. ის სწორედ ამით ხსნის იმ ფაქტს, რომ საკრებულომ ბიუჯეტის განხილვა დაიწყო. მანამდე მეჭიაურს ზაქარიანელებმა ორჯერ ჩაუგდეს ბიუჯეტი.

რა შეიცვალა „ქართულ ოცნებაში“, რატომ მივიდა პარლამენტში, რა პროვოკაციებს ელოდება, ჩატარდება თუ არა მერის ხელახალი არჩევნები? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ თიანეთის მერი თამაზ მეჭიაური ესაუბრება.

**თამაზ მეჭიაური:**

– თიანეთის საკრებულომ ორჯერ ჩააგდო 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი, თანაც ისე, რომ საფინანსო კომისიაზეც კი არ გაუტანიათ განსახილველად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკრებულომ კომისიები მხოლოდ 22 დეკემბერს დააკომპლექტა.

მანამდე ორჯერ გვქონდა ბიუჯეტის პროექტი წარდგენილი. დოკუმენტი ორივეჯერ წინასწარი განხილვის გარეშე დაგვიბრუნეს უკან. მინდა იცოდეთ, რომ ბიუჯეტის პროექტი მათ ჯერ კიდევ მაშინ შეიმუშავეს, სანამ მე მერის მოვალეობის შესრულებას შევუდგებოდი. ამ არჩევნებში ჩემს კონკურენტს რომ გაემარჯვა, ახალი საკრებულო ბიუჯეტის პროექტს დიდი ზარზეიმით დაამტკიცებდა.

***– თქვენ ამ პროექტში არანაირი ცვლილება არ შეგიტანიათ?***

– არაფერი შემიცვლია. საკრებულოს ის პროექტი გადავუგზავნე დასამტკიცებლად, რომელიც დამახვედრეს.

***– თავად რატომ არ შეიმუშავეთ ახალი პროექტი?***

– თიანეთის მერის მოვალეობის შესრულებას 13 ნოემბერს შევუდექი, ბიუჯეტის წარდგენის ბოლო ვადა კი 15 ნოემბერი იყო. 2 დღეში ახალი პროექტის მომზადება შეუძლებელი იყო.

ამის გარდა, იყო მეორე მომენტიც, რისთვისაც არ შევიტანე პროექტში ცვლილებები – არ მინდოდა, მათთვის მიმეცა საბაბი, რომ ბიუჯეტი უკან დაებრუნებინათ. მათ თავისივე შედგენილი პროექტის განხილვაზე უარი თქვეს და უკან დააბრუნეს. ამან ბევრი რამ გააფუჭა.

კანონმდებლობა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ბიუჯეტის არმიღების შემთხვევაში პირველი კვარტლის განმავლობაში გასული წლის ბიუჯეტის 1/12 დავხარჯოთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონით ნებადართულია, ამ უფლების გამოყენების უფლება მხოლოდ 17 იანვარს მოგვეცა. თანხის გამოყენებაზე ნებართვა ხაზინიდან იმ დღეს მივიღეთ.

ამან, ბუნებრივია, მთელი რიგი პროცესების პარალიზება გამოიწვია. სხვათა შორის, ის პრობლემებიც ამის ბრალია, რასაც ზაქარია ქუცნაშვილი ჩემს არაკომპეტენტურობას აბრალებდა. მოსახლეობის შეშით მომარაგებისა და ტრანსპორტის შეფერხება ქუცნაშვილის მიერ იყო ინსპირირებული.

მოსახლეობა შეშით ჯერ კიდევ ზაფხულში უნდა მოემარაგებინათ. ეს ჩემს წინამორბედს უნდა გაეკეთებინა. მოგეხსენებათ, რომ მთაში მოსახლეობა შეშით ზამთარში არ მარაგდება. მერის მოვალეობის შესრულებას 13 ნოემბერს შევუდექი. ნოემბერი მთაში უკვე ზამთარია.

გასულ წელს თიანეთში თოვლი ოქტომბრის შუა რიცხვებში მოვიდა. ამ თოვლს მაინც უნდა შეეხსენებინა მათთვის, რომ ხალხს შეშა სჭირდება.

შეშასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ მე არ ვიცოდი. ეს ჩემთვის მერის წარმომადგენლებს უნდა მოეტანათ. იმათ, იცით, რა გააკეთეს? 12 ნოემბერს, ერთი დღით ადრე, სანამ მერის მოვალეობას შევუდგებოდი, შვებულებაში გავიდნენ.

***– ყველანი ერთად გავიდნენ შვებულებაში?***

– ერთად გავიდნენ. მათ ისიც კი არ იკადრეს, ახალი მერის, ანუ ჩემს წარდგენას დასწრებოდნენ.

***– არ თქვათ, რომ ეს ამბავი ძალიან გეწყინათ.***

– არც მეწყინა, მაგრამ არც მესიამოვნა. მათ მდგომარეობაშიც შევედი, წინასაარჩევნო კამპანიით ძალიან დაიღალნენ, მაგრამ დასასვენებლად წასვლამდე არსებულ პრობლემებზე უნდა მოეწოდებინათ ინფორმაცია.

ისინი შვებულებიდან დეკემბრის შუა რიცხვებში გამოვიდნენ. მათ გამოსვლამდე ჩვენი ძალებით გავარკვიეთ, სად რა პრობლემა იყო და შეძლებისდაგვარად დავიწყეთ მათი მოგვარება.

ამხელა შესავალი იმიტომ გავაკეთე, რომ მკითხველს გაეგო, რასთან გვქონდა საქმე. ქუცნაშვილმა ყველაფერი გააკეთა, რომ ყველა მიმართულებით შექმნილიყო პრობლემა. ამ პრობლემების ჩემ წინააღმდეგ გამოყენებას აპირებდა, მაგრამ არ გამოუვიდა. ტაქტიკა შევცვალე და მასაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

***– ტაქტიკის შეცვლაში რას გულისხმობთ?***

– სხვანაირად დავიწყე მათ წინააღმდეგ მოქმედება. ქუცნაშვილის ხალხი მანამდე გრძნობდა თავს კომფორტულად, სანამ ისინი საკრებულოს ერთ ოთახში იყვნენ შეკეტილი.

საკრებულოს უმრავლესობის უმრავლესობა ქუცნაშვილის ხალხია. მათ შეექმნათ იმის ილუზია, რომ თიანეთის მოსახლეობის 2/3 მართლა მათ უჭერდა მხარს.

საკმარისი იყო, ბიუჯეტის პროექტის განხილვა უფრო ფართო სამსჯავროზე გამოგვეტანა, რომ ვითარება შეიცვალა. 2 კვირის წინ შევხვდი სოფლების წარმომადგენლებს, გავაცანი ბიუჯეტი, ვუთხარი, რის გაკეთებას ვაპირებთ და რას უშლიდა ხელს ქუცნაშვილის ხალხი.

ყველამ გააცნობიერა, რომ ერთი კაცის გამო მთელ მოსახლეობასთან დაპირისპირება არ ღირდა. შექმნილ ვითარებაში „ქართული ოცნებისა“ და აღმასრულებელი ხელისუფლების ზედა ეშელონებმაც ჩაიხედეს და დაინახეს, რასთანაც ჰქონდათ საქმე.

***– თქვენი აზრით, ამიტომ დაიწყო საკრებულომ ბიუჯეტის პროექტის განხილვა?***

– მათ დაინახეს ხალხის განწყობა, გააანალიზეს შექმნილი ვითარება და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ქუცნაშვილის გამო თიანეთის მოსახლეობასთან დაპირისპირება არ ღირს. მართალია, თიანეთი პატარაა, მაგრამ ის ძალიან მნიშვნელოვანი მუნიციპალიტეტია.

ისიც უნდა ვთქვა, რომ თიანეთის საკრებულოს უმრავლესობაშიც ბევრი ღირსეული ადამიანია. მათ შეიძლება ქუცნაშვილის პოლიტიკური ვალი აქვთ, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, მოსახლეობას არ დაუპირისპირდებიან.

***– თქვენი აზრით, წავლენ საკრებულოს წევრები ქუცნაშვილის წინააღმდეგ?***

– კერძო პირის ინტერესების გატარებას ისინი ხალხის გვერდით დადგომას ამჯობინებენ. ვიღაცა, შესაძლოა, იმ კაცის მხარეს დარჩეს.

***– დღეის მდგომარეობით, ბრძოლას თქვენ იგებთ, მაგრამ რა იქნება ხვალ? აშკარაა, რომ მაჟორიტარი დათმობას არ აპირებს.***

– ის ვერ ეგუება მეჭიაურის გამარჯვებას. ის ჩემთვის პრობლემების შექმნას კიდევ შეეცდება.

***– თქვენ მზად ხარ ამისთვის?***

– მე ბრძოლისთვის ყოველთვის მზად ვარ. მასთან რამდენიმე ბრძოლა უკვე მოვიგე და არც მომავალში გამიჭირდება. მეტიც, ახლა უფრო იოლად დავამარცხებ.

***– უფრო იოლად დავამარცხებო და რამე შეიცვალა?***

– შეიცვალა. მისი გავლენა რაიონზე მცირდება. რაც დრო გავა, კიდევ უფრო შემცირდება. პირადად მე ყველაფრისთვის მზად ვარ.

***– მერის ვადამდელი არჩევნებისთვისაც მზად ხართ? ამბობენ, რომ ქუცნაშვილს ყველაფერი აქეთ მიჰყავს.***

– მიჰყავს და წაიყვანოს. მე არათუ მზად ვარ ვადამდელი არჩევნებისთვის, არამედ ამას მივესალმები კიდევაც.

***– თუ ვადამდელ არჩევნებამდე მივიდა საქმე, მიიღებთ მასში მონაწილეობას?***

– რა თქმა უნდა, მივიღებ მონაწილეობას. უბრალოდ მონაწილეობას კი არ მივიღებ, არამედ მთლიანად დავამთავრებ ქუცნაშვილის პარპაშს. თიანეთის საკრებულო სულ სხვა შემადგენლობით იქნება წარმოდგენილი.

***– თიანეთში რაღაცების შეცვლა თქვენს საპარლამენტო ვოიაჟებს ხომ არ უკავშირდება? ამბობენ, თიანეთის მერი ქუცნაშვილზე ხშირად დადის საკანონმდებლო ორგანოში.***

– ქუცნაშვილზე ხშირად როგორ ვივლი. შეიძლება ჩემი გამოჩენა უფრო ეფექტური იყო და ამიტომ ჩათვალეს, რომ ხშირად დავდივარ. იქ 1,5 წელია, რაც არ მივსულვარ. გამონაკლისი წლევანდელი 14 იანვარი იყო. 14 იანვარს ეროვნული დროშის დღე აღინიშნება. პარლამენტში საზეიმო ღონისძიებები გაიმართა, სადაც მეც მიმიწვიეს. სიამოვნებით წავედი. პარლამენტის უმრავლესობაში ბევრი მეგობარი მყავს.



# მეტროსადგური „გურამიშვილი“ მგზავრებს 15 მარტამდე ვერ მოემსახურება

მეტროსადგური „გურამიშვილი“ მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო მგზავრებს 20 იანვრიდან 15 მარტამდე ვერ მოემსახურება.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თბილისის სატრანსპორტო კომპანიიდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, მეტროსადგურ „გურამიშვილის“ რეაბილიტაცია 2017 წლის სექტემბრის ბოლოს დაიწყო და ამ დრომდე სამუშაოები ღამის საათებში მიმდინარეობდა. 20 იანვრიდან კი, იწყება ისეთი მასშტაბური სამუშაოები, როგორიცაა – სადგურის ვესტიბიულების თაღების ჩამოხსნა და ჩაწნეხა, დახრილი გვირაბის გაწმენდა, გალესვა, სამღებრო სამუშაოების წარმოება და ა.შ.



ამ პერიოდის განმავლობაში დანარჩენი მეტროსადგურები ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებენ მუშაობას, „გურამიშვილის“ სადგურს კი მატარებლები შეუჩერებლად გაივლიან.

2018 წელს დამატებით ათი მეტროსადგურის რეაბილიტაცია იგეგმება.

თბილისის სატრანსპორტო კომპანია შექმნილი დისკომფორტისთვის ბოდიშს იხდის.

# მსესხებლის გარდაცვალების შემთხვევაში შესაძლოა მისი სამართალმემკვიდრე მოიძებნოს



– იმ შემთხვევაში, თუ სესხის ამღები პირი გარდაიცვალა, სესხის ამომღებ კომპანიას ამ სესხის მოთხოვნის უფლება აქვს, – განაცხადა პრობლემური აქტივების ბიუროს დირექტორმა ლაშა ნოზაძემ პირველი არხის გადაცემაში „აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“.

– ასეთ შემთხვევაში შესაძლოა გარდაცვლილი პირის სამართალმემკვიდრე მოიძებნოს, რაც სამართალდარღვევა არ არის, – განაცხადა ლაშა ნოზაძემ.

მისივე თქმით, თუ ონლაინსესხების კომპანია კონკრეტული მომხმარებლის წინააღმდეგ სარჩელს შეიტანს, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეუძლია, მომხმარებლის საცხოვრებელ მისამართზე ნებისმიერი ნივთი დააყადაღოს.

გადაცემის წამყვან მაკა ცინცაძის შეკითხვაზე, რამდენად სწორია წერილის ფორმა, რითაც მოქალაქეების გაფრთხილება ხდება და როგორ უნდა მიხვდეს მოქალაქე, რომელსაც იურიდიული განათლება არ აქვს, რომ გადაწყვეტილება ნამდვილად სასამართლოს მიერ არის მიღებული, ლაშა ნოზაძემ განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში მოქალაქემ იურისტს, ადვოკატს უნდა მიმართოს.

მისი თქმით, გაფრთხილების წერილი, შეტყობინების ტექსტი და ნებისმიერი სახის კომუნიკაცია, რაც პრობლემური აქტივების ბიუროს მსესხებლებთან და მომხმარებლებთან აქვს, მათ შორის, აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან არის შეთანხმებული.

# მუნიციპალურ ბაღებში ბავშვების დატოვება შესაძლოა ორი საათით გახანგრძლივდეს

მუნიციპალურმა საბავშვო ბაღებმა შესაძლოა მოქალაქეებს გახანგრძლივებული სერვისი შესთავაზონ.

ამის შესახებ ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა კახაბერ გვანცელაძემ განაცხადა.

– ჩემი თანამდებობაზე დანიშვნიდან დაახლოებით 10 დღეში შევხვდი მშობლების გარკვეულ ნაწილს, თითოეული ბაღის წარმომადგენლებს და ბაღებში გახანგრძლივებული სერვისის შემოღების ინიციატივა 200-მდე მშობელს ჰქონდა. კერძოდ, საუბარი იყო 18:00 საათიდან 20:00 საათამდე პერიოდში დამატებითი სერვისის დანერგვაზე. ამ ეტაპზე, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში დგას და გარკვეული კონცეფციის შემუშავებაზე ვმუშაობთ, – განაცხადა გვანცელაძემ.

# „გალერია თბილისში“ პარკინგი ფასიანი ხდება

26 იანვრიდან სავაჭრო ცენტრის „გალერია თბილისის“ ავტოსადგომი ფასიანი გახდება. ამის შესახებ ინფორმაცია სავაჭრო ცენტრმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გაავრცელა.




– ძალიან დიდი მოთხოვნის გამო, ჩვენი მომხმარებლებისთვის ავტოსადგომზე შემოსვლა გართულებული იყო. ამ პროცესს ისიც ართულებდა, რომ „გალერია თბილისის“ ავტოსადგომზე ავტომობილს ჩვენი მომხმარებლების გარდა, ის მოქალაქეებიც აჩერებდნენ, ვინც მიმდებარე ქუჩებზე გადაადგილდებოდნენ. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ეს პრობლემა მოგვეწესრიგებინა, – აღნიშნავენ „გალერია თბილისში“.

რაც შეეხება ტარიფებს, დღის 10 საათიდან ღამის 10 საათამდე პერიოდში ავტომანქანის ავტოსადგომზე გაჩერებიდან 1 საათის შემდეგ, ყოველ საათზე 2.50 ლარის გადახდა მოგიწევთ; ხოლო ღამის 10 საათიდან დილის 10 საათამდე პერიოდში პარკინგი ერთი საათის განმავლობაში 1 ლარი ეღირება.

აღსანიშნავია, რომ პარკინგის საფასურის გადახდის შემდეგ ავტომანქანის სადგომზე გაჩერება 20 წუთის განმავლობაში უფასოა და სავაჭრო ცენტრის დატოვებაც სწორედ ამ ვადაში შეგეძლებათ.

ამასთან, სავაჭრო ცენტრის ინფორმაციით, არასწორი პარკირებისთვის მოქალაქეები 15 ლარით დაჯარიმდებიან.

# რუსებმა საზღვარი ხურჩასთან 200 მეტრით უკან გადასწიეს

გულიკო ბალაძე

აფხაზეთის მიმართულებით, ადმინისტრაციულ საზღვართან, სოფელ ხურჩასთან, რუსმა სამხედროებმა გასულ წელს გადმოწეული ე.წ. საზღვარი 200 მეტრით უკან გადასწიეს.

საოკუპაციო ხაზის 200 მეტრით უკან გადაწევა რუსეთის მიერ „კეთილი ნების“ გამოვლენაა თუ ტაქტიკური სვლა?

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე **ვახტანგ ყოლბაია**, რომელიც ჟენევის ოთხმხრივი მოლაპარაკებების მონაწილეა აფხაზეთის დევნილი მთავრობიდან, აცხადებს, რომ საოკუპაციო ხაზის უკან გადაწევა რუსეთის კეთილი ნების გამოვლინებაა.

***– ბატონო ვახტანგ, ჟენევის მოლაპარაკებების დროს თუ მოხდა რამე შეთანხმება აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე რუსეთის მიერ დაფიქსირებული საოკუპაციო ხაზის უკან გადაწევის თაობაზე? ინფორმაცია გავრცელდა, რომ სოფელ ხურჩაში საოკუპაციო ხაზი200 მეტრით უკან გადასწიეს.***

– ჟენევის მოლაპარაკებების დროს ქართული მხარე მუდმივად აცხადებს პროტესტს რუსეთის მიერ უკანონო ბორდერიზაციის საკითხზე. ყველა შეხვედრის დროს ეს საკითხი დღის წესრიგშია, მაგრამ, სამწუხაროდ, რუსეთის აკეთებს იმას, რასაც აკეთებს. ჯერ იყო და ბორდერიზაციის პროცესი სამაჩაბლოს მიმართულებით წამოიწყო, შემდეგ მსგავსი პროცესები დაფიქსირდა გალის რაიონთან იმ სოფლებში, იმ ტერიტორიაზე, რომელიც ენგურს გაღმაა და ზუგდიდის რაიონს ეკუთვნის. ხურჩა, შამგორა და განმუხური მდებარეობს ენგურს გაღმა, მაგრამ კუნძულივითაა. შამგორა არის კუნძული. ზუგდიდის ეს ტერიტორია ენგურს გაღმა იყო, მაგრამ ზუგდიდის მოსახლეობას ჰქონდა სიმინდის ნათესები. რუსებმა რომ გაიადვილონ თავიანთი საქმე, საზღვრებს ავლებენ. რუს ჯარისკაცებს პატრულირება რომ გაუადვილდეთ, იქ საოკუპაციო ხაზი გაასწორეს, გზა და მავთულხლართები გააკეთეს.

ჩვენი პროტესტის შესაბამისად, ამაში ჩაერია ევროპის დამკვირვებელთა მისია, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები და თითქოს გამოსწორდა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. სანამ იქნება ჟენევის ფორმატში შეხვედრა, მანამდე გალში იკრიბება პრევენციის ჯგუფი და იქ იქნება ცხელი საკითხები. როცა ასეთი საკითხებია, არის საშუალება, ცხელი ხაზით დავუკავშირდეთ სოხუმს, არიან საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც და იქ კონკრეტულ ვითარებასთან დაკავშირებით სიტუაციის გარკვევა შესაძლებელია.

***– ახლა ეს საოკუპაციო ხაზი გადაიტანეს უკან. მაინტერესებს, საოკუპაციო ხაზის უკან გადაწევა (200 მეტრით) კეთილი ნების გამოვლინებაა თუ რუსეთის ტაქტიკური სვლა?***

– ტაქტიკური მოსაზრებით შეიძლება იყოს გაკეთებული, თუმცა არ მჯერა. ისე, ვინც ამ საკითხზე მუშაობს, მას ჩვენი შეფასებებით არ გავუფუჭოთ საქმე. თუ უკან დაიწიეს, შევაფასოთ ეს, როგორც კეთილი ნება. შეიძლება, ეს იყოს ამ დღეებში ჩატარებული მუშაობის შედეგი. გალში ჩატარდა ინციდენტების პრევენციისა და მასზე რეაგირების კომისიის სხდომა და, არ გამოვრიცხავ, რომ იქ ერთობლივი შეხვედრების საფუძველზე გადასწიეს.

***– ამ კომისიის ფარგლებში შეხვედრაზე რა საკითხები განიხილეს?***

– ამ კომისიაზე განიხილავენ ყველა საკითხს, რომლებიც გროვდება ან წამოიჭრება. იქ განიხილება ტყვეების გაცვლის, ბორდერიზაციის, ოთხოზორიას მკვლელის გადმოცემის საკითხები.

***– ლუკავას გათავისუფლებას მოჰყვა პროტესტი სოხუმში. ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ლუკავას გათავისუფლების გამო პროტესტს აცხადებდნენ?***

– ე.წ. დეპუტატები, საზოგადოების წარმომადგენლები, ნათესავები და საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები.

***– ერთი გამომსვლელის გვარი მომხვდა გულზე. ვინმე ლოლუა გამოდიოდა რადიკალურად.***

– მეგრული გვარის, ხომ?

***– დიახ, ლოლუა სადაური აფხაზია და რატომ არის ასეთი კატეგორიული?***

– ლოლუა ყოფილი ჩინოვნიკია. ახლა, მგონი, დეპუტატია.

***– ლოლუა კატეგორიულად მოითხოვდა ამ საკითხზე პასუხს და ცოტა უცნაურად მეჩვენა.***

– ისტორიისა და ჩვენი ცხოვრების უკუღმართობაა ქართული გვარების აფხაზებად ჩაწერა.

***– როგორც ჩანს, საკუთარ ფესვებს მოწყვეტილი ადამიანები უფრო კატეგორიულები არიან თავიანთი მოთხოვნებით.***

– დიახ, ასეა. ახლა იმ ხალხის აღელვება შემოგდებულია, თორემ ტყვეების გაცვლა ადრეც ყოფილა, მაგრამ ასეთი პროტესტი არავის გამოუთქვამს.

***– შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ეს რუსეთის ნებით მოხდა, რადგან, მგონი, ლუკავა 2013 წელს სოხუმში რუსეთის საელჩოს წარმომადგენლებზე თავდამსხმელებში (რომლებიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ) გაცვალეს.***

– მე ამ დეტალებს არ ჩავწვდომივარ. ჩემთვის ლუკავას გათავისუფლების ფაქტი მნიშვნელოვანია, რასაც დიდი ძალისხმევა დასჭირდა.

***– საახალწლო დღესასწაულების წინ თუ ამ პერიოდში მართლა გიწყობდნენ შეთქმულებას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრები? ფეისბუქზე წავიკითხე, ვახტანგ ყოლბაიას შეთქმულებას უწყობდნენ და ვოლსკიმ გადაარჩინაო. მართალია?***



– არა, პირველად მესმის. აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ამას არ გააკეთებს. მე მგონი, ეს ფანტაზიის ნაყოფია. აფხაზეთის უმაღლესი საბჭო განიხილავდა მთავრობის მიერ წარდგენილ 2018 წლის ბიუჯეტს და ამან დიდი დრო მოითხოვა.

* * *

სუსის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე კახა ქემოკლიძე აცხადებს, რომ აღნიშნული პრობლემა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების კომისიის ფორმატში არაერთხელ განიხილეს.

– ზოგადად ბორდერიზაციის პროცესი უკანონოა. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე ეს პროცესი ცალსახად პრობლემურია. ჩვენ ხშირად განვიხილავთ ამ საკითხებს როგორც გალის, ასევე ერგნეთის მოლაპარაკებებზე ინციდენტების პრევენციისა და მასზე რეაგირების ფორმატში. ხურჩის საკითხი რამდენჯერმე დავაყენეთ გალში შეხვედრებზე. ხურჩაში უკანონო ბორდერიზაციის საკითხი დაფიქსირდა 2017 წლის აპრილში და შემდეგ გაგრძელდა აგვისტოში, – განაცხადა კახა ქემოკლიძემ.

# თითქმის 200 ათასამდე ყირგიზს შემოსავლის წყარო არ გააჩნია

მალე ყირგიზეთი სამწუხარო თარიღს აღნიშნავს – სატვირთო ბოინგის ბიშკეკთან განცდილი კატასტროფიდან წლისთავს. ამ ტრაგედიის დროს მსხვერპლი 39 ადამიანს შეადგენდა, აქედან 17 ბავშვი. თუმცა ამ დრომდე არც დაღუპულთა ახლობლებს, არც ყირგიზელ ხალხს არ მოუსმენია საბოდიშო სიტყვები იმ საშინელ მოვლენებში მთავარი დამნაშავისაგან – ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტ ალმაზბეკ ატამბაევისაგან.

დღეს უკვე არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, თუ ვინ იყო იმ ტვირთის მთავარი შემკვეთი, რომელიც კატასტროფაში მოხვედრილ ბოინგს გადაჰქონდა. რეისი THY 6491, რომელიც თურქულ ავიაკომპანიას „My Cargo Airlines“ ეკუთვნოდა, ფრახტირებული იყო ა. ათამბაევის „ბიზნესპარტნიორების მიერ“. ფრენის მიზანი გახლდათ ყირგიზეთში კონტრაბანდული საქონლის ჩატანა. 85 ტონა მობილური ტელეფონი, სმარტფონი და პლანშეტი, რომლებიც უნდა გაყიდულიყო ყირგიზეთისა და ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრი ქვეყნების ბაზარზე – ხომ არაჩვეულებრივი შემოსავლის წყაროა იმ ადამიანისათვის, რომელსაც მისი ქვეყნის ხალხი კანონიერების გარანტად მიიჩნევს? 100 აშშ დოლარზე მეტი – ეს კი მხოლოდ იმ დაღუპული რეისის ღირებულებაა.



ამგვარი რეისების ოდენობა, გამოძიების მონაცემთა თანახმად, რომელსაც აწარმოებდა ჟოგორკუ კენეშას დეპუტატთა უხუცესი ომურბეკ ტეკებაევი (*დღესდღეობით იგი ციხეში ზის*), იყო არანაკლებ ორმოცდაათისა.

ვაწარმოოთ მარტივი გამოთვლა.

100 მილიონი აშშ დოლარი – მთელი ტვირთის ღირებულებაა. ტრადიციულად, ამ სახის საქონლისაგან მიღებული შემოსავალი (*მით უმეტეს, ტვირთი კონტრაბანდულია*) – თითქმის 60 პროცენტს შეადგენს. გავამრავლოთ 60 მილიონი აშშ დოლარი 52 რეისზე, ყოველივე ზემოთქმულის მტკიცებულება მოიპოვა ო. ტეკებაევმა, გამოდის, რომ ა. ატამბაევის წმინდა მოგებამ შეადგინა 3,1 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი!!!

3 მილიარდი! ეს გაცილებით მეტია, ვიდრე მთელი ყირგიზეთის ბიუჯეტი 2018 წლის განმავლობაში! ეს ქვეყნის ბიუჯეტის თითქმის ერთნახევარი ოდენობაა.

გამოდის, რომ ყირგიზელები საკუთარი მამასისხლად ნაშოვნი ფულით ძვირადღირებულ ტელეფონებს ყიდულობდნენ, ხოლო „კონსტიტუციის გარანტი“ ამ შემოსავალს საკუთარ ჯიბეში „ინახავდა“. ა. ატამბაევი საკუთარ თანამოაზრეებთან ერთად არათუ საბაჟო მოსაკრებელს არ იხდიდა, არამედ საშემოსავლო გადასახადსაც არიდებდა თავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ამ აშშ მილიარდობით დოლარიდან არაფერი მიუღია.

თუ დავითვლით სახელმწიფოს მიერ მხოლოდ გადასახადების სახით განცდილ ზარალს, თანხა არანაკლებ შემზარავი ოდენობისაა: დაახლოებით მილიარდი აშშ დოლარი.

ამ ფულით ყირგიზეთი შეძლებდა ათასობით სამუშაო ადგილის შექმნას, ასობით სკოლისა და საავადმყოფოს აშენებას (*ერთი სკოლის აგება მთელი თავისი აღჭურვილობით დაახლოებით 7 მილიონი აშშ დოლარი ჯდება*). ამ თანხით შესაძლებელი იყო მთელი ქვეყნის ავტომაგისტრალური დაქსელვა.

მაგრამ არა, ა. ატამბაევმა ყირგიზეთის ვალებში ჩაგდება ამჯობინა, ვიდრე მშობლიური ქვეყნისათვის გადასახადების გადახდა.

დღესდღეობით ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტი 20% შეადგენს, ხოლო საგარეო ვალი გაუტოლდა თანხას, რომელიც ა. ატამბაევმა კონტრაბანდული მობილური ტელეფონების გაყიდვით მოიპოვა – 3,8 მილიარდი აშშ დოლარი. ამასთან საგარეო ვალი აჭარბებს მშპ 52 პროცენტსა და დსთ სივრცეში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემა ჯერაც არ არის მოგვარებული. დაახლოებით 200 ათასამდე ყირგიზელს არ გააჩნია საარსებო წყარო. ანუ ისინი შიმშილობენ. და ეს მხოლოდ ოფიციალური მონაცემების თანახმად. ხოლო არაოფიციალური მონაცემების თანახმად – ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი უმუშევარია. აქედან ნახევარზე მეტი ახალგაზრდობაა, რომელიც ვერანაირ პერსპექტივას ვერ ხედავს და იძულებულია დატოვოს ქვეყანა უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად. ქვეყნის მილიონობით მოქალაქე გახიზნულია სამუშაოდ რუსეთსა და ყაზახეთში, ხოლო მათ, ვისაც ყირგიზეთში სამუშაო გააჩნია, იძულებულია მხოლოდ თავი გაიტანოს და იარსებოს, და არა იცხოვროს – ყირგიზეთში საშუალო ხელფასი შეადგენს 200 აშშ დოლარს. ყირგიზელი პენსიონერები პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე ღარიბები არიან, მათი ნახევრის პენსია შეადგენს საარსებო მინიმუმზე ბევრად ნაკლებს.

ყირგიზეთის ყოფილი პრეზიდენტი ა. ატამბაევი კი მილიარდობით დოლარს იხვეჭს.

უფრო მეტიც, არც ერთი წლის წინ და არც ახლა, ა. ატამბაევი არ გამოთქვამს არავითარ სურვილს, რომ მწუხარება გამოთქვას მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვის გამო. 2017 წლის 16 იანვრის ტრაგედიიდან ერთი კვირის განმავლობაში ა. ატამბაევი „ალა-არჩას“ სახელმწიფო რეზიდენციაში არაყს არაყზე ცლიდა. ამასთან ე.წ. „ზაპოი“ დაკარგული მილიონების გამო მგლოვიარე ა. ატამბაევისა იმდენად სერიოზული იყო, რომ მის გონზე მოყვანას რამდენიმე დღის განმავლობაში ცდილობდა ექიმების მთელი ბრიგადა, თურქული კლინიკიდან საგანგებოდ მოწვეული ტოქსიკოლოგების ჩათვლით, სადაც ალკოჰოლიზმის სამკურნალო კურსს პერიოდულად ყირგიზეთის ყოფილი მეთაურიც გადის.

სხვათა შორის, ა. ატამბაევს დღემდე არ დაუცლია „ალა-არჩას“ რეზიდენცია, რომელიც განკუთვნილია სახელმწიფოს მოქმედი მეთაურის საცხოვრებლად.

მის ძალისმიერი მეთოდებით გაძევებას კი ჯერჯერობით ვერ ბედავენ.

საქმე ის არის, რომ ა. ატამბაევმა, მართალია, დატოვა თანამდებობა და ადგილი დაუთმო დემოკრატიული არჩევნების გზით არჩეულ პრეზიდენტს, თუმცა პოლიტიკურ ელიტაზე გავლენას დღესაც ინარჩუნებს. უფრო მეტიც, დღესდღეობით ა. ატამბაევი ყველანაირად უშლის ხელს ს. ჟეენბეკოვის მთავარი წინასაარჩევნო დაპირების შესრულებას – კორუფციასთან ბრძოლას, პირველ რიგში კი იმიტომ, რომ ნებისმიერი კორუფციული სქემის შემუშავებისას დაწყებული საქონლისა და ნარკოტიკების კონტრაბანდიდან და უცხოელ ინვესტორებთან დადებული კონტრაქტის კეთილსინდისიერების შემოწმებით იკვეთება მთავარი ფიგურანტის სახელი – ალმაზბეკ ატამბაევი. მაგალითად, ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ოქროს საბადოს „ჯერუი“ ძალზე იაფად გაყიდვა.

ყირგიზეთის ყოფილი პრეზიდენტი უბრალოდ დამფრთხალია. სწორედ ამიტომ ცდილობს ნებისმიერ ფასად დააბრკოლოს დემოკრატიული რეფორმები, რომელთა გატარებას გეგმავს ქვეყნის ახალი ხელისუფალი.

ჭორებს თუ დავუჯერებთ, ა. ატამბაევის მომხრეები ყველა ხერხით ცდილობენ, დააბრკოლონ ახალი კადრების დანიშვნა საკვანძო თანამდებობებზე: პროკურორების, ძალოვანი უწყებებისა და სპეციალური სამსახურების ხელმძღვანელებისა და პროკურორების ჩათვლით. ამასთან, იმ ინფორმაციის თანახმად, რომელიც ზოგჯერ გამოჟონავს ხოლმე პრეზიდენტის სასახლის კულუარებიდან, საქმე რეფორმების მომხრეთა მისამართით გამოთქმულ პირდაპირ მუქარამდე მიდის.

აი, ასე გაიარა შემოწმება კანონმორჩილებაზე ყირგიზეთის მთავარმა „კანონდამცველმა“ ა. ატამბაევმა, რომლისგანაც მისი ხალხი დღემდე ვერ ეღირსა მონანიებას სამშობლოს გაღარიბების, ბავშვებისა და მოხუცების ჭარბი სიკვდილიანობის გამო, რომელთა ბრალეულობა მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი საკუთარ სახლებში ცხოვრობდნენ, რომლებსაც თავს დაეცა თვითმფრინავი ა. ატამბაევის უკანონო მილიარდებითურთ.

# ნუცა აბრამიშვილი: „ჩინეთში ქართული ღვინის კონკურენტი მოლდოვური ღვინო უფროა, ვიდრე ევროპული“



– ის დრო წარსულს ჩაბარდა, როდესაც ხდებოდა ღვინის მახასიათებლების გაყალბება და, შესაბამისად, ხარისხის დაცემა, რაც წარმოუდგენელია, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ მსოფლიო ექსპორტსა და კონკურენტუნარიანობაზე, სადაც ხარისხი არის უმთავრესი და გადამწყვეტი.

ამის შესახებ „კომერსანტს“ „შუხმან გრუპის“ აღმასრულებელმა დირექტორმა **ნუცა აბრამიშვილმა** განუცხადა.

***– ქართული ღვინისთვის 2017 წელი იყო ძალიან წარმატებული. პირადად თქვენ რას ფიქრობთ ქართული ღვინის გლობალურ სურათზე, ათვისებულ და ასათვისებელ ბაზრებზე?***

– ქართული ღვინისთვის 2017 წელი საკმაოდ კარგად დასრულდა, ძალიან კარგი მაჩვენებლები გვაქვს, საკმაოდ განვითარებული არის ჩინეთის ბაზარი, რაც ძალიან კარგია, რადგან ერთ-ერთი უმსხვილეს სტაბილურ მსოფლიო ეკონომიკური მოთამაშის პარტნიორი გახდა საქართველო და მეღვინეობის დარგი, რაც ფაქტობრივად, რუსეთის ბაზრის ჩანაცვლებას გულისხმობს. „შუხმან ვაინს ჯორჯიას“ მაგალითზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სრულიად ჩავანაცვლეთ რუსეთის ბაზარი, უკვე პოლიტიკური და მიმდინარე ფინანსური რყევებიდან გამომდინარე.

***– საკმაოდ დიდი რაოდენობით ქართული ღვინო გადის ჩინეთშიც. ვინ მოიაზრება ჩინეთის ბაზარზე ქართული ღვინის მთავარ კონკურენტად?***

– რეგიონის ქვეყნები რომ ავიღოთ, ჩინეთში ქართული ღვინის კონკურენტი არის მოლდოვური ღვინო, ვიდრე ევროპული.

***– ეს იმით ხომ არ არის გამოწვეული, რომ ქართული ღვინო კონკურენციას ვერ უწევს ცენტრალური ევროპის ღვინოს ხარისხით, ხოლო ფასებით ის ვერ გაუწევს კონკურენციას ავსტრალიურ, ახალზელანდიურ, სამხრეთამერიკულ და სამხრეთაფრიკულ ღვინოებს?***

– ცნობადობით, რა თქმა უნდა, ფასს ვერ შევადარებთ, რადგან იქაური ფასი არის დაბალი გამომდინარე მწარმოებლურობიდან. შესაბამისად, კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ 20 მილიონ ბოთლზე მეტს წელიწადში, მათი ხარჯები არის შესაბამისად ნაკლები. ჩვენ რესურსი ყველანაირად შეზღუდული გვაქვს გამომდინარე ჩვენი ვენახების რაოდენობიდან, ამიტომ ქართულმა ღვინომ და მეღვინეობამ უნდა ეცადოს დაიმკვიდროს მაღალი ხარისხიანი ღვინის სტატუსი. ეს არის ჩვენთვის უფრო დადებითი იმიჯი, ამასთან მარკეტინგულად გამართლებულია, როდესაც ქვეყანა აწარმოებს მცირე რაოდენობას. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება, შევედაროთ წამყვან ცენტრალური ევროპის ღვინის მწარმოებელ ქვეყნებს.

***– როგორ ფიქრობთ, შეძლებს ქართული ღვინო ევროპაში, ადგილობრივ ღვინოებს გაუწიოს კონკურენცია?***

– გრძელვადიან პერსპექტივაში შეძლებს, იმიტომ, რომ დიდი წარმატება ხვდა 2017 წელს ქართულ ღვინოს. ერთ-ერთი უმთავრესი წარმატება იყო მარკეტინგული აღიარება, ცნობადობის ამაღლება, როდესაც ქართულ ღვინოს ძალიან დიდი და საპატიო ადგილი ეკავა ქალაქ ბორდოში ღვინის ცივილიზაციის მუზეუმში. ქართული ღვინო იქ წარმოჩენილი იყო მსოფლიო ღვინოების გვერდით.

***– ზოგიერთი ადგილობრივი მეღვინეებისგან გამოითქვა ვარაუდი, რომ ჩინური ბაზრის ათვისებამ შესაძლოა გამოიწვიოს ქართული ღვინის ხარისხის ვარდნა. რამდენად ეთანხმებით?***

– არ ვეთანხმები, იმიტომ, რომ ბოლო წლებია საკმაოდ მკაცრად და აქტიურად ხდება ღვინის სერტიფიცირების პროცესი საქართველოში. ჩვენთან ღვინის გაგზავნა ხდება მკაცრად დაცული პროცედურებით, მაგალითისთვის, შეიძლება ითქვას, რომ შემოვიდა სერტიფიცირების ონლაინწესი, სადაც ვერცერთი ღვინო ვერ გავა ქვეყნის გარეთ, თუ არ მოხდება მისი შესაბამისი ლაბორატორიული ანალიზების შედეგად შემოწმება. ეს ნიშნავს, რომ თავიდან გვექნება აცილებული ღვინის ფალსიფიკაცია უცხო ქვეყნებში, ხოლო ფალსიფიკაციის რისკები მოდის ზოგადად პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მაგალითად რუსეთში. შესაბამისად, ამის აღკვეთის ღონისძიებები უკვე დაწყებულია და საქართველოში, ხოლო ის დრო წარსულს ჩაბარდა, როდესაც ხდებოდა ღვინის მახასიათებლების გაყალბება და, შესაბამისად, ხარისხის დაცემა, რაც წარმოუდგენელია, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ მსოფლიო ექსპორტზე და კონკურენტუნარიანობაზე, სადაც ხარისხი არის უმთავრესი და გადამწყვეტი.

***– პერსპექტივაში როგორ ხედავთ რუსულ ბაზარს?***

– რუსული ბაზარზე არის ისტერიული ფონი საქართველოსთვის ყველანაირი გაგებით, პოლიტიკური, დიპლომატიური თუ სავაჭროეკონომიკური. რუსული ბაზარი მაღალი რისკების შემცველია, რასაც 2014 წლიდან დაემატა რუბლის დევალვაცია და მსყიდველობითუნარიანობის დაწევა, შესაბამისად, მოთხოვნაც შემცირდა, თუმცა რუსეთი დიდია და მისი მასშტაბები არ შემცირებულა. რა თქმა უნდა, ყოველთვის იქნება რუსეთიდან მოთხოვნა, მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ ქართული ღვინის ცალსახა პრიორიტეტი არის ღვინის ექსპორტის დივერსიფიკაცია, ხოლო ეს პრიორიტეტი აღიარებულია როგორც დარგის ისე სახელმწიფოს მიერ. ზემოთ აღნიშნული წარმატებები ცხადყოფს, რომ ქართული ღვინო ხდება დივერსიფიცირებული და ექსპორტი ხდება მრავალ ქვეყანაში. შესაბამისად, არ არის მიზანშეწონილი ერთ კონკრეტულ ბაზარზე ორიენტირება , რათა თავიდან ავიცილოთ 2006 წელს რუსული ემბარგოს მიერ გამოწვეული მძიმე შედეგები. რთული იყო ეს პერიოდი, ძალიან დიდი სამუშაოები გასწია როგორც კერძო სექტორმა, ასევე სახელმწიფომ და სასიხარულოა, რომ ღვინო კვლავ რჩება მაღალი ღირებულების ქართულ ეროვნულ პროდუქტად. თამამად შეიძლება ითქვას, ქართული ღვინო შესაბამის მწვერვალებზეა.

# „თბილისში 700-მდე ახალი ავტობუსის შემოყვანა იგეგმება“

ხალხით გაჭედილი ავტობუსები და სამარშრუტო ტაქსები, მოუწესრიგებელი, ქაოტური მოძრაობა და ტრანსპორტის ლოდინში გატარებული ძვირფასი დრო… – ეს მწარე სინამდვილეა, რომელსაც თბილისელები ყოველდღიურად აწყდებიან. როგორ აპირებს დედაქალაქის ახალი მერი და მისი გუნდი ამ უმწვავესი პრობლემის მოგვარებას? – ამ საკითხზე „ბიზნესპრესნიუსი“ ქალაქ თბილისის მერის მოადგილე **მაია ბითაძეს** ესაუბრა:

– საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის გაუმჯობესება თბილისის მერიის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ყველამ ვიცით, რა მიზეზით იგვიანებს ტრანსპორტი – ეს უმეტესწილად საცობების ბრალია. დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ, მთავრობის წინა სხდომაზეც განაცხადა, რომ ჩვენი მთავარი პრიორიტეტი საზოგადოებრივი ტრანსპორტის კომპლექსური მოწესრიგებაა. ეს საკითხი გულისხმობს რამდენიმეპუნქტიან გეგმას, რომელსაც ჩვენ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგების მიზნით განვახორციელებთ. საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება კომფორტული და ხელმისაწვდომი უნდა იყოს თბილისის მცხოვრებთათვის – ეს ჩვენი უპირველესი საზრუნავია.

***– ქალბატონო მაია, რას ითვალისწინებს თქვენი მრავალპუნქტიანი გეგმა?***

– პირველი პრობლემაა ის, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტს არა აქვს გადაადგილებისთვის სპეციალურად გამოყოფილი ზოლები – ე.წ. ბასლეინები, სადაც ავტობუსები და მიკროავტობუსები შეუფერხებლად გადაადგილდებიან. იმის გამო, რომ ქალაქში ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული არ არის, საცობები ჩნდება და ტრანსპორტის მოძრაობაც ირევა. ჩვენი მთავარი მიზანია, ავტოპარკი ახალი სამგზავრო ავტობუსებით განვაახლოთ, გარდა ამისა, უნდა შევქმნათ შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მოვაწყოთ ცალკე სავალი ხაზები, სადაც მხოლოდ საზოგადოებრივ ტრანსპორტს ექნება გადაადგილების საშუალება. ეს ტრანსპორტის მოძრაობას გაცილებით მოწესრიგებულს გახდის, ადამიანს ეცოდინება, რომ ავტობუსის მოსვლის გრაფიკი არ შეიცვლება და მას არსად დააგვიანდება. მერიას ძალიან დიდი გეგმები აქვს მეტროპოლიტენთან დაკავშირებითაც. დედაქალაქის ბიუჯეტის დიდი ნაწილი უნდა მივმართოთ მეტროს რეაბილიტაციისათვის, რაც ვაგონების გადაადგილებას დააჩქარებს და სამგზავრო დროის ინტერვალს შეამცირებს. შესაბამისად, გეგმები, რომელიც მერიას აქვს დასახული მომდევნო 4 წლის განმავლობაში, ტრანსპორტის მოძრაობის განტვირთვას და გაუმჯობესებას ითვალისწინებს. ეს სფერო თბილისში საერთოდ მოუგვარებელია და მის მოწესრიგებას ეტაპობრივად ვაპირებთ.



***– რამდენად გამართულია ელექტროტაბლოების მუშაობა? ხშირია შემთხვევა, როდესაც ტაბლოზე 3-4 წუთი წერია, მაგრამ ავტობუსი 15-20 წუთის შემდეგ მოდის.***

– თუ რომელიმე ტაბლო შეფერხებით მუშაობს, ჩვენ შეგვიძლია, ტექნიკური ჯგუფი გავუშვათ და გადაამოწმოს, მაგრამ, როგორც ვიცი, ისინი ძირითადად გამართულად მუშაობენ. ეს ტექნიკაა და შეიძლება ზოგჯერ მწყობრიდანაც გამოვიდეს, მაგრამ მოუწესრიგებელი გრაფიკის მთავარი მიზეზი მაინც საცობებია.

***– არანაკლები პრობლემაა სამარშრუტო ტაქსები, რომლებიც ხარვეზებით მუშაობენ.***

– მერიას სპეციალური სანებართვო პირობები აქვს დადგენილი, რომლის მიხედვითაც სამარშრუტო ტაქსებმა უნდა იმუშაონ. ამ მიმართულებით ჩვენ აქტიურ კონსულტაციებს ვაწარმოებთ ყველა კომპანიასთან, რომელიც სამარშრუტო ხაზებს კურირებს. მერია ამ მიმართულებითაც გეგმავს სერიოზული ნაბიჯების გადადგმას. ჩვენ მომავალ კვირაშიც უნდა შევხვდეთ ამ კომპანიების წარმომადგენლებს. შეხვედრაზე სამარშრუტო ტაქსების მიერ განაწესის შესრულების საკითხი განიხილება. ამ კომპანიებს მკაცრად უნდა მოვთხოვოთ სანებართვო პირობების შესრულება და ამ მიმართულებით ჩვენი პოლიტიკა უფრო შეუვალი უნდა გახდეს.

***– ქალბატონო მაია, როგორ ფიქრობთ, ხალხით გადავსებულ ავტობუსებსა და მიკროავტობუსებს რა ეშველება?***

– ავტოპარკის განახლება ამ პრობლემის მოგვარების მთავარი გზაა. თბილისის მერია მომდევნო წლებში 700-მდე ახალი ავტობუსის შემოყვანას გეგმავს. ისინი ძველ ავტობუსებს ჩაანაცვლებენ და დედაქალაქის ავტოპარკს შეავსებენ, რითაც დედაქალაქში მოძრაობა საგრძნობლად განიტვირთება.

## ბათუმში მიკროავტობუსით მგზავრობის ტარიფები 10 თეთრით გაიზარდა

ბათუმის საკრებულოს გადაწყვეტილებით, მიკროავტობუსით მგზავრობის ტარიფები 10 თეთრი გაიზარდა და 40 თეთრის ნაცვლად, 50 თეთრი გახდა. საკითხს საკრებულოს ოპოზიციამ მხარი არ დაუჭირა. მათი განცხადებით, რეგიონში მძიმე სოციალური მდგომარეობაა და მოსახლეობა გაზრდილ სამგზავრო ტარიფს ვერ გადაიხდის.

– შეიძლება 10 თეთრი ჩვენთვის არაფერია, მაგრამ მოქალაქეები ვერ გადაიხდიან. მძიმე სოციალური ფონია. სწორედ ამ ადამიანების ჯიბიდან ვიღებთ ხელფასს, – აცხადებს „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი მირდატ ქამადაძე.



ბათუმში სამგზავრო ტარიფის გაზრდას 14 დეპუტატმა მხარი დაუჭირა, ხოლო 6 დეპუტატი წინააღმდეგი იყო.

ამ დროისთვის ბათუმის საკრებულოში დეპუტატები ბათუმის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების, ასევე საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ მსჯელობენ.

## ვარდნის შემდეგ ბიტკოინმა ზრდა დაიწყო



ძლიერი ვარდნის შემდეგ ბიტკოინის ფასმა დღეს აღმასვლა დაიწყო. გუშინ ყველაზე პოპულარული ციფრული ვალუტის ფასი 9.500 დოლარს ჩამოსცდა, რაც ჩინეთსა და სამხრეთ კორეაში ციფრული ვალუტებით ვაჭრობის შესაძლო შეზღუდვების შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციებმა გამოიწვია. დღეს კი ციფრული ვალუტების ბაზარზე გამოცოცხლებაა – თითქმის ყველა ვალუტამ ზრდა დაიწყო.

ბიტფაინექსის პლატფორმაზე გუშინ ბიტკოინის ფასი 9.231.0 დოლარამდე დაეცა, რაც 30 ნოემბრის შემდეგ უდაბლესი მაჩვენებელია, დაახლოებით ორჯერ ნაკლებია პიკურ ფასზე (19.891 დოლარი), რომელიც 17 დეკემბერს დაფიქსირდა (სხვა პლატფორმებზე ფასი 20.000-საც კი ასცდა). გუშინ ბიტკოინის ფასმა 9.13 პროცენტით მოიმატა და 11.228 დოლარს მიაღწია.

არსებული ფასის შესაბამისად, ბიტკოინის ჯამური საბაზრო კაპიტალიზაცია 192 მილიარდი დოლარია, რაც გუშინდელ მაჩვენებელზე 30 მილიარდით მეტია. ამ ზრდას რაიმე ინფორმაციული საფუძველი არ გააჩნდა. უბრალოდ, ბიტკოინსა და ზოგადად ციფრულ ვალუტებს, ღრმა ვარდნის შემდეგ, მკვეთრი ზრდა ახასიათებს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კლების ფაზა დასრულებულია.

ძლიერი რყევა სხვა პოპულარულ კრიპტოვალუტებზეც გავრცელდა. ეთერიუმი, რომელიც კაპიტალიზაციით მეორე უდიდესი ვალუტაა, 1.000-დოლარიან ზღვარს ასცდა. არადა, გუშინ 770.10 დოლარამდე იყო დაცემული. რიპლი, რომელიც კაპიტალიზაციის მოცულობით მესამე ადგილზეა, 1.4 დოლარამდე გაიზარდა, რაც მის გუშინდელ ფასზე 25 პროცენტით მეტია.

„კეპიტალ ეკონომიკსის“ ანალიტიკოსები თვლიან, რომ ბიტკოინის ფასის ვარდნას, ბუშტის გახეთქვის ეფექტი აქვს. და რადგან მისი ფასი დაახლოებით ათჯერ მეტია იმ ფასზე, რომელიც ერთი წლის წინ დაფიქსირდა, ადვილი შესაძლებელია, რომ ვარდნა კვლავ განახლდეს. მათი აზრით, ბევრი ინდივიდუალური ტრეიდერი ცდილობს, რომ ბიტკოინი ფსიქოლოგიური ზღვარის (10 000 დოლარი) სიახლოვეს შეისყიდოს, რაც ციფრულ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდას იწვევს. ამის კვალობაზე კი ფასიც იზრდება. მაგრამ ფუნდამენტურ ფონს, სიტუაციის კვლავ შეცვლა შეუძლია, რაც ვარდნის გაგრძელებას გამოიწვევს.

## დარღვევით მიმდინარე სამუშაოების გამო 58 დღეში 54 სამშენებლო ობიექტი შეჩერდა

2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 17 იანვრის ჩათვლით პერიოდში, დარღვევებით მიმდინარე სამუშაოების გამო 54 სამშენებლო ობიექტი შეჩერდა. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისივე თქმით, აღნიშნული სტატისტიკა ძალიან საგანგაშოა.

– 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 17 იანვრის ჩათვლით, სამშენებლო საკითხების მოწესრიგებასთან დაკავშირებით, 200-ზე მეტ სამშენებლო ობიექტს ზეპირსიტყვიერი გაფრთხილება მიეცა. უსაფრთხოების ნორმებისა და სამშენებლო პროექტის დარღვევებზე სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება 126 ობიექტის მიმართ დაიწყო. სამშენებლო სამართალდარღვევებზე მიღებული დადგენილებით დაკისრებულმა საჯარიმო თანხის მთლიანმა ოდენობამ კი 627 ათასი ლარი შეადგინა, – განაცხადა კალაძემ.



## მოსკოვში ე.წ. კანონიერი ქურდი გურამ ჩიხლაძე, მეტსახელად „კვეჟოევიჩი“ დააკავეს



მოსკოვში ე.წ. კანონიერი ქურდი გურამ ჩიხლაძე, მეტსახელად „კვეჟოევიჩი“ დააკავეს. ამის შესახებ „როსბალტი“ წერს.

როგორც სააგენტოს სამართალდამცავ ორგანოებში საკუთარმა წყარომ აცნობა, გურამ ჩიხლაძე 16 იანვარს საღამოს მოსკოვში, ნაქირავებ ბინაში დააკავეს. მას ოფიციალურად განუცხადეს, რომ ის არალეგალი მიგრანტია და იზოლატორში გადაიყვანეს.

უახლოეს დღეებში ჩიხლაძეს რუსეთიდან დეპორტაცია ელოდება.

„როსბალტის“ ინფორმაციით, 2014 წელს ჩიხლაძეს ყოფილი ე.წ. კანონიერი ქურდის დავით მელქაძის („დათო ფოთისკი“) მკვლელობის ბრალდებით ეძებდნენ, თუმცა ამ მკვლელობაზე ბრალი საკუთარ თავზე სხვა პირმა აიღო.

## გერმანელმა სამართალდამცავებმა მკვლელობის ბრალდებით საქართველოს მოქალაქე და მისი მეუღლე დააკავეს




გერმანელმა სამართალდამცავებმა 59 წლის მამაკაცის მკვლელობის ბრალდებით საქართველოს მოქალაქე და მისი მეუღლე დააკავეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ეჭვმიტანილი 39 წლის ქართველი მამაკაცი, ეროვნებით რუს მეუღლესთან ერთად ქალაქ ულმში ცხოვრობდა.

გამოძიების ცნობით, ისინი მოკლულის ოჯახის წევრებს იცნობდნენ. საქართველოს მოქალაქეს და მის მეუღლეს თავდაპირველად, სავარაუდოდ, მოკლულის ბინის გაქურდვა ჰქონდათ განზრახული. შემთხვევას შეესწრო მოხუცი ქალბატონიც, რომელიც გარდაცვლილის დედა აღმოჩნდა.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ეჭვმიტანილ ცოლ-ქმარს 20 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

## აჭარაში სავალდებულო ნებართვის გარეშე მოქმედი სამორინე გამოავლინეს



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, აჭარის რეგიონში შესაბამისი სავალდებულო ნებართვის გარეშე მოქმედი სამორინე გამოავლინეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგამოძიებო სამსახურის პრესსამსახურიდან აცნობეს, სამორინეში აზარტული და მომგებიანი თამაშები სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტარდებოდა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, პირთა ჯგუფი, დიდი ოდენობით შემოსავლის/მოგების მიღების მიზნით, შესაბამისი ნებართვის გარეშე, ორგანიზებას უწევდა აზარტული და მომგებიანი თამაშების – სათამაშო ბორბლის („რულეტკა“), ტოტალიზატორისა და ბინგოს სისტემურ-ელექტრონული ფორმით ჩატარებას.

აღნიშნული უკანონო სამეწარმეო საქმიანობის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მიყენებულმა ზიანმა 390.000 ლარი შეადგინა.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## ადვოკატი: „სამსონ ქუთათელაძის მკვლელობასთან დაკავშირებით გიორგი ჭანტურიას ალიბი აქვს“

ადვოკატის მტკიცებით, რუსთავში „სტამბოლის ბაზრის“ დირექტორ სამსონ ქუთათელაძის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დაკავებული გიორგი ჭანტურია მკვლელობის მომენტში სხვაგან იმყოფებოდა.

მისივე თქმით, ჭანტურიას ალიბის დადასტურებაზე როგორც თავად, ისე პროკურატურაც მუშაობს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ დაკავებულის ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ განუცხადა, იმ დროს, როდესაც სამსონ ქუთათელაძე მოკლეს, ჭანტურია ერთ-ერთ ბანკში იმყოფებოდა და სესხს აკეთებდა. მისივე მტკიცებით, დაცვის მხარემ უკვე მიმართა შესაბამის ბანკს, რათა ამოიღონ ჩანაწერები.

– კი ცდილობენ, რომ ეს ადამიანი დაუკავშირონ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობას, თუმცა ის მკვლელობის მომენტში სულ სხვა ტერიტორიაზე იმყოფებოდა. მივმართეთ ბანკს, რომ



ამოვიღოთ ჩანაწერები. არ დაგვიმალავს, რომ გარდაცვალებამდე სამსონ ქუთათელაძეს შეხვდა, მასთან ისაუბრა და ამ საუბრის მერე დაემშვიდობა და წამოვიდა იქიდან. ამის შემდეგ ჭანტურია მიდის ბანკში და ამ პერიოდში ხდება ეს მკვლელობა. ჩვენ ეს გარემოება მოვახსენეთ გამოძიებას და ისინიც მუშაობენ, რათა გადაამოწმონ ინფორმაცია, – განაცხადა კობაიძემ.

გენერალი სამსონ ქუთათელაძე 15 იანვარს „სტამბოლის ბაზრობის“ ადმინისტრაციის შენობის ოფისში დაცვის თანამშრომელმა გარდაცვლილი ნახა. მას ცეცხლსასროლი იარაღიდან ექვსი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. ბაზრობის ადმინისტრაცია და მოვაჭრეები მკვლელობის ვერსიებზე ვერ საუბრობენ და აცხადებენ, რომ გასროლის ხმა არ გაუგიათ და სავარაუდოდ ის მაყუჩიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან არის მოკლული.

ყოფილი პარლამენტარი, გენერალი სამსონ ქუთათელაძე ბოლო წლებში ბიზნესსაქმიანობით იყო დაკავებული. მას შპს „ერთობის“ 29% ეკუთვნოდა. გარდაცვლილის ცხედარი პროზექტურიდან ტაბახმელაში, საკუთარ სახლში გვიან ღამითვე გადაასვენეს.

## გიორგი ჭანტურიას და: „ჩემს ძმაზე ზეწოლა ხორციელდებოდა, რომ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობა ეღიარებინა“



გენერალ სამსონ ქუთათელაძის საქმის გამოძიების პროცესში დაკავებული გიორგი ჭანტურიას დის, მარიამ ჭანტურიას განცხადებით, მის ძმაზე დაკითხვის დროს ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდებოდა და ამ გზით ცდილობდნენ, მას ქუთათელაძის მკვლელობა ეღიარებინა.

მარიამ ჭანტურია ირწმუნება, რომ ამის გამო დაკითხვისას მისი ძმა შეუძლოდ გახდა და სასწრაფო დახმარების ბრიგადის გამოძახება გახდა საჭირო.

თავის მხრივ, ჭანტურიას ადვოკატების, ალექსანდრე კობაიძისა და ანი კეკენაძის განცხადებით, ისინი აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ოფიციალურ განცხადებას თავად გიორგი ჭანტურიასთან შეხვედრისა და საუბრის შემდეგ გააკეთებენ. ისინი შესაბამისი უწყებებისთვის მიმართვასაც გეგმავენ.

გიორგი ჭანტურია გენერალ სამსონ ქუთათელაძის საქმის გამოძიების პროცესში, საბრძოლო მასალის უკანონო შენახვისთვის დააკავეს. გამოძიება ადგენს, აქვს თუ არა კავშირი უშუალოდ გენერლის მკვლელობასთან.

## ვანო მერაბიშვილი ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებას არ გაასაჩივრებს



შს ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების თაობაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებას არ გაასაჩივრებს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მერაბიშვილის ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა განუცხადა.

რაც შეეხება პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების გადასინჯვას, როგორც ადვოკატი აღნიშნავს, კანონით ეს 6 თვეში ხდება, თუმცა ჩივიაშვილი არ გამორიცხავს, რომ გადაწყვეტილება უფრო ადრე გადაიხედოს.

– ესენი ლოგიკის მიღმა არიან და მათი ქმედებებისას ვერაფერს გაიგებ. პროცედურებში არაა გაწერილი გადასინჯვის თემა, თუმცა სასჯელაღსრულების შესახებ კანონში წერია, რომ 6 თვეში გადაისინჯება, თუ სხვა რამე გარემოება არ არსებობს, მაგრამ ამ შემთხვევაში უამრავი გარემოება არსებობს, – განაცხადა გიორგი ჩივიაშვილმა.

შს ყოფილ მინისტრ ვანო მერაბიშვილს პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე უარი 2017 წლის 25 დეკემბერს ეთქვა.

## თურქეთის მოქალაქე ბათუმის სასამართლომ პატიმრობაში დატოვა

ბათუმის სასამართლომ ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვის ბრალდებით დაკავებული თურქეთის მოქალაქე ფემბე ოზლემი სასამართლომ პატიმრობაში დატოვა. ბათუმის საქალაქო სასამართლოში გუშინ გამართულ პროცესზე მტკიცებულებათა დასაშვებობასა და აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე იმსჯელეს. მოსამართლე გიორგი გრატიაშვილმა პატიმრობიდან გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლების თაობაზე დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

თავად ბრალდებულმა პროცესზე მისი დაკავების დეტალები გაიხსენა და აღნიშნა, რომ დაკავებისას პროცედურები დაირღვა და აღმოჩენილი ნივთები მას არ ეკუთვნის.

– თავს დამნაშავედ არ ვცნობ. პირველ რიგში მინდა ვილაპარაკო იმის თაობაზე, მტკიცებულებები როგორ მოიპოვეს. ბრალდებაში წერია, რომ 16:00 საათზე დამაკავეს, სინამდვილეში სამართალდამცავებმა დილით 11:00 საათზე დამაპატიმრეს. უამრავი პოლიციელი მოვიდა და შეუძლებელია ეს არავის დაენახა. როდესაც მე დამაკავეს, სახლი ერთი საათის განმავლობა-



ში გაჩხრიკეს. მე თავიდანვე განვმარტე, რომ ვერაფერს ვხდებოდი, არ მესმოდა ენა და თარჯიმანს ვითხოვდი. მიუხედავად ამისა, 18:00 საათამდე არც ადვოკატი და არც თარჯიმანი არ მოსულა. მოგვიანებით, თარჯიმანი რომ მოვიდა მას ვკითხე, შესაბამისი სერტიფიკატი ჰქონდა თუ არა და აღმოჩნდა, რომ თურქული კარგად არ იცოდა, რის საფუძველზეც ოფიციალური ადვოკატი და თარჯიმანი ვითხოვე, თუმცა მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს. წამიყვანეს პოლიციის განყოფილებაში და მითხრეს, რომ კიდევ ერთხელ ჩავატარებთ ჩხრეკას თარჯიმნის მონაწილეობითო. სახლის ჩხრეკის დროს ვერაფერი ნახეს. კამერების წინ კი ხელყუმბარა აღმოჩნდა და თქვეს, რომ ეს საკმარისი მტკიცებულებააო. ჩხრეკის დროს სხვა ადგილზე ვიყავი და ამ დროის განმავლობაში ჩანთაში ბომბი ვინ ჩადო არ ვიცი. დამაკავეს და იზოლატორში მომათავსეს. მაქვს ასეთი ვარაუდი, რომ თავიდან ჰქონდა ჩამოყალიბებული სამართალდამცავებს პოზიცია, რომ დამნაშავე ვარ. ასეთი ინფორმაცია იყო, რომ თითქოს ეს ყველაფერი თბილისში, ტერორიზმის სპეცოპერაციას უკავშირდება. მე იმ დროს უკვე დაკავებული ვიყავი და ახლობლებისგან გავიგე, რომ თბილისის მოვლენები მოხდა, – განაცხადა ფემბე ოზლემმა.

თურქეთის მოქალაქე ფემბე ოზლემი ქობულეთში 25 ნოემბერს ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს. მას ბრალად ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვა ედება.

მომდევნო სასამართლო პროცესი 24 იანვარს, 14:00 საათზე გაიმართება.

## მუჟავაში წვევამდელის მკვლელობაში ბრალდებული სასამართლომ არ გაათავისუფლა

მუჟავაში წვევამდელის მკვლელობაში ბრალდებული ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე ნატრული აკობიამ დაცვის მხარის შუამდგომლობა დაკავებული დავით ჯალაღონიას 10.000 ლარის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლების შესახებ არ გაითვალისწინა.

სხდომის დასრულების შემდეგ სასამართლოს ეზოში ხმაური იყო. გარდაცვლილის ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა პროცესზე ეჭვმიტანილის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლების მოთხოვნა გააპროტესტეს. ისინი გამოძიებას ეჭვქვეშ აყენებენ და აცხადებენ, რომ პროკურატურა საგუშაგოს უფროსის მოადგილეს ხელს აფარებს. მათი თქმით, იარაღი, საიდანაც გასროლა განხორციელდა, სწორედ ამ მაღალჩინოსანს ეკუთვნის.

საქმის პროკურორ დავით პაპავას თქმით, აღნიშნული მაღალჩინოსნის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი არ განიხილება, რადგან ჯალაღონიამ იარაღი თვითნებურად აიღო.

დაზარალებულის ადვოკატი როლანდ შონია დარღვევად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ გუშინდელ პროცესზე საქმეს ის მტკიცებულებები დაურთეს, რომლებსაც თავად არ გასცნობია. „მტკიცებულებებს, რომელიც დღეს საქმეს დაურთეს, მე არ გავცნობივარ, გაეცნო გარდაცვლილის ოჯახის წევრი, რომელიც სამართლებრივ შეფასებას ვერ მისცემდა. არ შემატყობინეს საქმის მასალების შესახებ“, – განაცხადა ადვოკატმა.

წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავაში ახალგაზრდა მამაკაცი 27 ოქტომბერს დაიღუპა. აღნიშნულთან დაკავშირებით 27 ოქტომბერს დ.ჯ. დააკავეს, მეორე დღეს კი მას ბრალი სსკ კოდექსის 116-ე მუხლით წარედგინა, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

## თბილისში 18 იანვარს, ღამით, 3 ადამიანი დაჭრეს



თბილისში, გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, 18 იანვარს, ღამით, 3 ადამიანი დაჭრეს. არსებული ინფორმაციით, მამაკაცებს შორის დაპირისპირება ერთ-ერთ რესტორანში დაიწყო. დაჭრილთაგან ერთი საავადმყოფოშია გადაყვანილი. მას მრავლობითი დაზიანებები კიდურებზე აღენიშნება. დაჭრილს წუხელვე ჩაუტარდა ოპერაცია. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, დანარჩენ ორ პირს ჰოსპიტალიზაცია არ დასჭირვებია.

მათივე განმარტებით, დანაშაულში ეჭვმიტანილი ერთი პირი ადგილზევე დააკავეს.

მომხდარზე გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 120-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს.

# ჩეხეთმა ყირიმის ანექსია დაგმო

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი პავლო კლიმკინი ტელეფონით თავის ჩეხ კოლეგას მარტინ სტროპნიცკის დაუკავშირდა. საუბრის ძირითადი თემა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები იყო.

უკრაინა-ჩეხეთს შორის ერთგვარი დაძაბულობა მას შემდეგ გაჩნდა, რაც ჩეხეთის პრეზიდენტმა ზემანმა ყირიმის ანექსიას მხარი დაუჭირა.

პავლო კლიმკინმა საუბარში სწორედ ეს თემა წამოსწია. სტროპნიცკიმ მიუგო, რომ ბატონ ზემანის მოსაზრება ამ საკითხზე ჩეხეთის სახელმწიფოს პოზიციას არ ემთხვევა.

– ჩვენთან საპარლამენტო რესპუბლიკაა! შესაბამისად, საგარეო და საშინაო პოლიტიკის ფორმირებას ახდენს პარლამენტი და არა პრეზიდენტი, – თქვა სტროპნიცკიმ.

ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთის მიერ ყირი-



მის ანექსია საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა. ჩეხეთიც ყირიმის ანექსიას მუდამ გმობდა და გმობს. ჩეხეთი ასევე გმობს რუსეთის აგრესიას დონბასში და მოსკოვის მიმართ სანქციების გაძლიერებას ემხრობა.

– ასეთია ჩეხეთის სახელმწიფოს პოზიცია, – თქვა სტროპნიცკიმ.

მან შენიშნა, რომ ჩეხეთი მზადაა, დაეხმაროს უკრაინას შეიარაღებული ძალების გაძლიერებაში, ასევე კორუფციასთან ბრძოლაში.

– კორუფცია კომუნისტური წარსულის მემკვიდრეობაა. თავის დროზე ჩეხეთში ეს პრობლემა ძალზე მწვავედ იდგა. მზად ვართ, ჩვენი გამოცდილება უკრაინელებს გავუზიაროთ, – განუცხადა კლიმკინს სტროპნიცკიმ.

როგორც მოსალოდნელი იყო, სტროპნიცკის განცხადებამ კრემლის აღშფოთება გამოიწვია. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა შენიშნა, რომ ჩეხეთი ამერიკის სატელიტია და ვაშინგტონის დავალებებს ასრულებს.

– ასეთი პოზიცია ჩეხეთის ეკონომიკაზე ძლიერ ცუდად იმოქმედებს, – დაიმუქრა ლავროვმა.

# რუსეთი იანუკოვიჩის უკრაინაში დაბრუნებას აპირებს?!



უკრაინის ექსპრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის ადვოკატმა ვიტალი სერდიუკმა განაცხადა, რომ იანუკოვიჩს რუსეთში დაბრუნება სურს.

ევრორევოლუციის შემდეგ იანუკოვიჩი დაამხეს. ახლა ის თავს რუსეთს აფარებს.

– მე იანუკოვიჩს პირადად შევხვდი. ის თავს შესანიშნავად გრძნობს და ოპტიმისტურადაც არის განწყობილი, – თქვა სერდიუკმა.

უკრაინის დაზვერვის ცნობით, უახლოესი პერიოდის განმავლობაში ვლადიმერ პუტინი უკრაინის მიმართ მკვეთრად აგრესიული იქნება. კერძოდ, იგეგმება როგორც დესტაბილიზაცია კიევში, ასევე დონეცკში იანუკოვიჩის ჩაყვანა. სავარაუდოდ, ის ე.წ. დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკების ხელმძღვანელებს ჩაანაცვლებს, ამის შემდეგ კი დონეცკში შექმნის უკრაინის მთავრობას, რომელიც გამოაცხადებს, რომ ქვეყნის კანონიერი ხელისუფლებაა.

– ამით რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი შიდა დაპირისპირების სახეს მიიღებს. ყოველ შემთხვევაში, პუტინს ასე სურს, – ამბობს უკრაინელი პოლიტოლოგი ტარანი.

სავარაუდოდ, იანუკოვიჩი თავისი „მთავრობით" ხარკოვში უნდა გამაგრდეს, სადაც დააფუძნებს ე.წ. უკრაინულ რესპუბლიკას, რომელიც რუსეთთან მჭიდრო კავშირში შევა. ამით პუტინს სანუკვარი ოცნება აუსრულდება, უკრაინა შუაზე აღმოჩნდება გაყოფილი.

– იანუკოვიჩის დროს გაცილებით უკეთესი სოციალური მდგომარეობა იყო. ობივატელს, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთის რეგიონებიდან, ეს კარგად ახსოვს. მოსკოვიც იმედს ამაზე ამყარებს, – ამბობს ტარანი.

# ტრამპი: „რუსეთი ჩრდილოეთ კორეას ეხმარება!"



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ რუსეთი ჩრდილოეთ კორეის პრობლემის დარეგულირებაში ოდნავადაც არ მონაწილეობს. მეტიც, მოსკოვი კიმ ჩენ ინის რეჟიმთან კონტაქტებს განაგრძობს.

– რუსეთს ჩრდილოეთ კორეა სანქციების გვერდის ავლასა და ქვეყნის მომარაგებაში ეხმარება! – თქვა ტრამპმა.

# ნურსულთან ნაზარბაევი მაიკ პენსს შეხვდა

გრძელდება ყაზახეთის პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის ვიზიტი აშშ-ში. ტრამპის შემდეგ ყაზახეთის ლიდერი აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ მაიკ პენსს შეხვდა.



ნაზარბაევმა კვლავ აღნიშნა, რომ აშშ ყაზახეთისთვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტიორია. ყაზახეთის ლიდერმა ხაზი გაუსვა იმ პოზიტიურ როლს, რომელსაც აშშ მთელ რეგიონში ასრულებს.

მაიკ პენსმა, თავის მხრივ, ნაზარბაევს მადლობა გადაუხადა იმ წვლილისთვის, რომელიც ყაზახეთმა ტერორიზმთან ბრძოლაში შეიტანა. ამავე დროს, ვიცეპრეზიდენტმა იმაზეც მიუთითა, რომ ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ ყაზახეთში პრობლემებია.

– აუცილებელია ადამიანის თავისუფლების, მათ შორის რელიგიური თავისუფლების პრინციპის დაცვა, – თქვა პენსმა.

# გუდკოვი: „პუტინი საკუთარ თავს აირჩევს"

18 მარტს რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. ხელისუფლებამაც მისთვის არასასურველ ორგანიზაციებზე ზეწოლა გააძლიერა.



ერთ-ერთ ასეთ ორგანიზაციას ლევადაცენტრი წარმოადგენს. არჩევნების წინა პერიოდში მას სოციოლოგიური კვლევის შედეგების გამოცხადება აუკრძალეს.

– ჩვენ უცხოეთის აგენტის იარლიყი მოგვაწებეს და სოციოლოგიური კვლევის შედეგების გამოქვეყნებას გვიკრძალავენ, – აცხადებს ლევადა-ცენტრის დირექტორი გუდკოვი.

ლევადა-ცენტრის ხელმძღვანელის თქმით, რუსეთში ავტორიტარული ტენდენციები ძლიერდება. ეს იმიტომ ხდება, რომ სინამდვილეში პუტინისადმი მხარდაჭერა მკვეთრად დაეცა.

– პუტინის მაღალი რეიტინგი ფიქციაა! სინამდვილეში არავითარი არჩევნები არ ჩატარდება! იქნება შოუ საბჭოური ტრადიციების საუკეთესო დაცვით. პუტინიც თავის თავს აირჩევს, – ამბობს გუდკოვი.

# ყაზახეთში ავტობუსში 52 ადამიანი დაიწვა



ქალაქ აქტიუბინსკში (ყაზახეთი) ტრაგედია მოხდა. ხალხით სავსე ავტობუსს ანაზდად ცეცხლი მოეკიდა. შედეგად 52 მგზავრი დაიღუპა. ავტობუსიდან თავის დაღწევა მხოლოდ 5-მა ადამიანმა შეძლო, თუმცა მათ სხვადასხვა სახის დამწვრობა აღენიშნებათ. ყველა მათგანი ჰოსპიტალიზებულია.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**


# განცხადებები


**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფსორიაზის მკურნალობა მაღალი შედეგით – მალამოებით, ლიმფის გაწმენდითა და ნერვული სისტემის მოწესრიგებით. ფრჩხილის სოკო და კანის სოკო, ეგზემა, სტრეპტოდერმია და სხვა – ბუნებრივი საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე.597 98-95-99; 599 45-88-66. ნინო ექიმი.

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.



# ყვითელაშვილი ევროპაზე მეშვიდეა და მედლის შანსს ინარჩუნებს

რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში მიმდინარე ევროპის 2018 წლის ჩემპიონატზე ფიგურულ სრიალში საქმეში ქართველებიც ჩაერთვნენ. პირველად ისტორიაში, შეჯიბრებაში საქართველოს ვაჟთა ნაკრების 2 წარმომადგენელი ჩაება და თავისუფალი პროგრამის შესრულების უფლება ორივემ მოიპოვა.

რუსულ ყინულზე საციგურაოდ მორის ყვითელაშვილი და ირაკლი მაისურაძე გავიდნენ. როგორც მოსალოდნელი გახლდათ, ჩვენებურთაგან უკეთესი შედეგი გაცილებით გამოცდილმა ყვითელაშვილმა აჩვენა. 22 წლის სპორტსმენმა მოკლე პროგრამაში 76.74 ქულა მიიღო. ეს მაჩვენებელი მისთვის საუკეთესო ნამდვილად არ არის და პერსონალურ რეკორდს დაახლოებით 10 პუნქტით ჩამორჩება. შედეგად, მორისმა მე-7 შედეგი აჩვენა, თუმცა ფინალში მედლებისთვის ბრძოლის შანსს ინარჩუნებს.

24 საუკეთესო მოციგურავეს შორის მე-18 ადგილით მოხვდა მაისურაძე, რომელმაც მისთვის სადებიუტო ევროპის ჩემპიონატის კვალობაზე საკმაოდ დამაჯერებლად ისრიალა. 17 წლის ქართველმა სპორტსმენმა მოკლე პროგრამაში 63.69 ქულა დაიმსახურა.

პირველი დღის მერე, საუკეთესო სამეული ასე გამოიყურება: 1. ხავიერ ფერნანდესი (ესპანეთი) – 103.82 ქულა; 2. დმიტრი ალიევი (რუსეთი) – 91.33; 3. დენის ვასილიევსი (ლატვია) – 85.11;

ვაჟთა პროგრამაში თავისუფალი პროგრამა 19 იანვარს გახლავთ დაგეგმილი და ყვითელაშვილს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში პრაქტიკულად შანსი არ აქვს, მაგრამ სამეულში მოხვედრაზე პრეტენზია უნდა განაცხადოს.

# ცეცაძემ ახალგაზრდული ნაკრები გაცხრილა

საქართველოს 21-წლამდე ნაკრები დღეს თურქეთში გაემგზავრება და აზერბაიჯანელ თანატოლებთან ამხანაგურ მატჩს ითამაშებს. ეს იქნება გია ცეცაძის პირველი გამოცდა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში. შეგახსენებთ, რომ ცეცაძემ ერთი თვის წინ გია გეგუჩაძე შეცვალა.

როგორც გითხარით, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები თურქეთის ქალაქ ლარაში გაემგზავრება, სადაც 5-დღიან შეკრებას გაივლის.

ვარჯიშების გარდა, 21-წლამდელები ერთ ამხანაგურ მატჩსაც ჩაატარებენ – 23 იანვარს აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

გია ცეცაძემ ადრე გამოცხადებული გაფართოებული შემადგენლობა გაცხრილა და უკვე ცნობილია იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებიც თურქეთში მიემგზავრებიან:

**მეკარეები:** ლევან შოვნაძე (დინამო ბთ), გიორგი ჩოჩიშვილი (ზლატე მორავცე, სლოვაკეთი);

**მცველები:** გურამ გიორბელიძე (სიონი), ლუკა გადრანი (ცხინვალი), დავით კობოური, აკაკი შულაია (ორივე დინამო თბ), ირაკლი კომახიძე (ლოკომოტივი), ანრი ჭიჭინაძე (ტორპედო), რომან ჩაჩუა (სამტრედია), გიორგი ქანთარია (ნემანი, ბელარუსი);

**ნახევარმცველები:** გიორგი კუცია (დინამო თბ), გიორგი კიკნაძე, დავით სამურკასოვი (ორივე ლოკომოტივი), ნიკა ბაშელეიშვილი, ირაკლი რუხაძე, გიორგი ხარებაშვილი (ყვერლა თელავი), გაბრიელ საღრიშვილი (სამგურალი), პაატა ღუდუშაური (ვიტ ჯორჯია), ლევან მაჭარაშვილი (სტუმბრასი, ლიტვა), ლუკა ნადირაძე (ოლიმპიკი, უკრაინა);

**თავდამსხმელები: ბექა მიქელთაძე (რუსთავი), ვატო არველაძე (ლოკომოტივი).**

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევ მე-3 ჯგუფში 4 ქულით მე-4 ადგილზეა. ცეცაძის გუნდი ევროშესარჩევის მორიგ შეხვედრას 23 მარტს ფარერებთან გამართავს.

# რუსთავში გაზაევი მიდის



ეროვნულ ლიგაში აღზევებული რუსთავი დიდი ამბიციებით ხვდება ახალ სეზონს. დავიწყოთ იმით, რომ მთავარი მწვრთნელის პოსტს ვლადიმერ გაზაევი დაიკავებს – ქართველი ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის კარგად ნაცნობი ვალერი გაზაევის შვილი.

37 წლის სპეციალისტს აქამდე ვლადიკავკაზის ალანია და ყაზახური აქტობე გაუწვრთნია. ის აქტობეც კარგად ახსოვთ ქართველ გულშემატკივრებს – გაზაევის თავკაცობით ევროტურნირზე თბილისის დინამო რომ გამოაგდო.

რაც შეეხება გუნდის მთავარ მწვრთნელ ვარლამ კილასონიასა და სპორტულ დირექტორ ლევან სილაგაძეს, ისინი რუსთავში შექმნილი საფეხბურთო აკადემიის ხელმძღვანელები იქნებიან.

დავუბრუნდეთ გაზაევს, რომლის რუსთავში ჩამოყვანა მამუკა ჯუღელის დამსახურებაა. ჯუღელი რუსულ ფეხბურთში კარგად ნაცნობი პიროვნებაა და მას რუხ კარდინალსაც უწოდებდნენ. მის გუნდში მისვლას ყოველთვის მიჰყვება ხოლმე ფეხბურთელთა მოზრდილი ჯგუფიც და თან ისეთი ფეხბურთელების, ჩვენს ჩემპიონატში რომ გამოირჩევიან.

ამიტომაც, მომავალი სეზონიდან რუსთავში ითამაშებენ მეკარე ნუკრი რევიშვილი, მცველები ლევან გეგეჭკორი, მამუკა კობახიძე, გიორგი რეხვიაშვილი და ლაშა სალუქვაძე, ნახევარმცველები პაპუნა ფონიავა და ავთო ენდელაძე, თავდამსხმელები ბექა მიქელთაძე, ბაჩანა ცხადაძე და ბექა ქავთარაძე. ეს არასრული სიაა.

რუსთავს 20 იანვრიდან დაგეგმილი აქვს ადგილობრივი შეკრება, სადაც სრული შემადგენლობით გუნდი ფიზიკურ მომზადებას გაივლის. შეკრება 9 დღეს გასტანს. შემდეგ ქვემოქართლელები უცხოური შეკრებასაც გაივლიან.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# ფაჩულია და მარკოიშვილი ლიდერობენ



ერთმატჩიანი პაუზის შემდეგ ზაზა ფაჩულია მოედანს შედეგიანად დაუბრუნდა. ქართველი ცენტრი საკმაოდ პროდუქტიულად გაისარჯა ჩიკაგოში გამართულ შეხვედრაში და გოლდენ სტეიტის მორიგ გამარჯვებაშიც სოლიდური წილი დაიდო.

ოკლენდელებმა ჩიკაგო 119:112 დაამარცხეს და მიმდინარე სეზონში ზედიზედ მე-14 გასვლითი მატჩი მოიგეს. ეს შედეგი ნბა-ს ისტორიაში მესამეა, ხოლო რეკორდი ლოს ანჯელეს ლეიკერსს ეკუთვნის, რომელმაც 1971-72 წლების სეზონში მიჯრით 16 გასვლითი შეხვედრა მოიგო.

რაც შეეხება ზაზას: ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 18 წუთით გაატარა. ფაჩულიას 11 მოხსნა მატჩში საუკეთესო იყო, ხოლო 5 პასით მან ამ შეხვედრაში სტეფ კარის აჯობა. ქართველმა ლეგიონერმა 3-დან სამივე ორქულიანიც ჩააგდო და შეხვედრა 6 ქულით, 11 მოხსნით, 5 პასით დაასრულა. ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც: ზაზას მოედანზე ყოფნის პერიოდში გოლდენ სტეიტმა 31 ქულით აჯობა ჩიკაგოს და ამ მაჩვენებელში ფაჩულია მხოლოდ კევონ ლუნის (+33) ჩამორჩა.

ჩიკაგოში გამარჯვებით გოლდენ სტეიტმა ლიგის ლიდერობა გაიმყარა და სადღეისოდ 37 მოგების წილ 9 მარცხი გააჩნია. მორიგი მატჩი ზაზას გუნდს კვლავ სტუმრად უწევს და დასავლეთის ერთ-ერთ ბობოლა როკეტსს ჰიუსტონში დაუპირისპირდება.

ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირ ევროლიგაში ქართული კლუბების დღე არ იყო. გიორგი შერმადინის უნიკახამ მილანში არმანი ექსჩეინჯთან 87:101 წააგო, თორნიკე შენგელიას ბასკონია კი მადრიდში რეალთან დაძაბულ ბრძოლაში 73:75 დამარცხდა.

ბასკონიელები უმეტესწილად ლიდერობდნენ, თუმცა ბოლოში ყველაფერი ერთმა სროლამ გადაწყვიტა, რომელიც თორნიკე შენგელიას აუცდა, ხოლო რუდი ფერნანდესმა ჩააგდო და მადრიდელებს გაამარჯვებინა.

შენგელია ვიტორიული კლუბის სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 25 წუთში 9 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. 9-დან 3 ორქულიანი და სამქულიანი ჩააგდო.

ბასკონიას 8 მოგება და 10 მარცხი მოუგროვდა და სატურნირო ცხრილში მე-9 ადგილზე იმყოფება, მომდევნო მატჩს კი იმ მილანის წინააღმდეგ ჩაატარებს, რომელმაც მალაგელებს აჯობა.

მილანში გამართულ მატჩში უნიკახას ქართველმა ცენტრმა მოედანზე 13 წუთი გაატარა და 6 ქულა, 5 მოხსნა (2 შეტევაში) და 1 დაფარება მოაგროვა. შერმადინმა 5-დან 2 ორქულიანი და 2 საჯარიმო გამოიყენა.

7 მოგებითა და 11 მარცხით უნიკახა მე-10 ადგილზეა და შემდეგ ტურში შინ რეალს გაეჯიბრება. ამგვარად, მომდევნო ტურში ქართველ კალათბურთელთა გუნდები მეტოქეებს გაცვლიან.

სამაგიეროდ, ევროთასის გათამაშებაში შედეგიანად თამაშობს მანუჩარ მარკოიშვილის რეჯიო ემილია. იტალიურმა კლუბმა ამ ტურნირის მეორე ჯგუფურ ეტაპზე, ტოპ-16-ში გააღწია და 3 ტურის შემდეგ 2 გამარჯვება აქვს. გასულ ტურში რეჯიოემილიელებმა სტუმრად რუსული უნიკსი დაამარცხეს, რომელიც 2-დან 2 გამარჯვებით ჯგუფის ლიდერი გახლდათ. ყაზანში გამართული შეხვედრა რეჯიო ემილიას გამარჯვებით – 71:69 დასრულდა.

მარკოიშვილი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და იტალიურ კლუბში ყველაზე მეტი სათამაშო დროც დაუთმეს. მანუჩარმა 30 წუთში 12 ქულა, 2 მოხსნა და 5 პასი მიითვალა. ქართველმა კალათბურთელმა 5-დან 2 ორქულიანი, 4-დან 2 სამქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

რეჯიო ემილიამ 2 მოგება და 1 მარცხი მოაგროვა და ჯგუფში ლიდერობა სწორედ უნიკსს ჩამოართვა. მარკოიშვილის გუნდი მომდევნო მატჩს ისევ ყაზანელებთან, ამჯერად უკვე შინ გამართავს.

# არსენალი უოლკოტმა და სანჩესმა დატოვეს



თეო უოლკოტი დღეს ევერტონის ფეხბურთელია. 28 წლის ინგლისელი ლურჯებმა 20 მილიონ ფუნტად დაიმატეს. უოლკოტი, ჯენკ თოსუნის შემდეგ სემ ელერდაისის გუნდისთვის მეორე შენაძენია.

უოლკოტის კარიერა 2005 წელს საუთჰემპტონში დაიწყო, 2005-06 წლების სეზონის ბოლოს, ყველასთვის მოულოდნელად, 16 წლის რანგით მეორე ლიგაში მოთამაშე მოზარდი ინგლისის ნაკრების მაშინდელმა თავკაცმა სვენ გორან ერიქსონმა გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატზე წაიყვანა. მუნდიალის შემდეგ უოლკოტი არსენ ვენგერის არსენალს შეუერთდა, სადაც 12 სეზონი ითამაშა და 108 გოლის გატანა შეძლო.

**თეო უოლკოტი:**

– ვგრძნობდი, რომ უკვე წასვლის დრო იყო. კი, გული დამწყდა, მაგრამ გამიხარდა კიდეც, მინდა ევერტონს ისეთი რაღაცის მიღწევაში დავეხმარო, რასაც კლუბი და გულშემატკივარი მონატრებულია. მწვრთნელიც (სემ ელერდაისი) მოტივირებულია, ძალიან მონდომებულია და ამან იმოქმედა ჩემზე.

ინგლისის ნაკრების წევრი ევერტონში კვირაში 110.000 გირვანქა სტერლინგს მიიღებს, პლუს ბონუსებს, ანუ ზუსტად იმდენს, რამდენიც არსენალში ბოლო კონტრაქტით ჰქონდა განსაზღვრული.

ლონდონის არსენალი კიდევ ერთმა ფეხბურთელმა დატოვა – ჩილელმა ფორვარდმა ალექსის სანჩესმა მანჩესტერ იუნაიტედთან კონტრაქტის ბოლო დეტალებიც შეათანხმა.

ბრიტანული მედიის ცნობით, ფეხბურთელის კონტრაქტი წითელ ეშმაკებთან 4,5-წლიანი იქნება (2023 წლამდე), თავად მოთამაშე კი წელიწადში 14 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

სანჩესის საკითხს წერტილი მანკუნიანელთა ნახევარმცველის ჰენრიხ მხითარიანის თანხმობის შემდეგ უნდა დაესვას, რომელიც კლუბებს შორის გარიგების ნაწილი უნდა გახდეს.

ბრიტანული მედია იმასაც წერს, რომ არსენალსა და მხითარიანს შორის შეთანხმება პრაქტიკულად მიღწეულია.

# შედეგები

**17 იანვარი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. თასი**

სუონსი-ვულვზი ............ 2:1
უიგანი-ბორნმუთი ............ 3:0
ჩელსი-ნორვიჩი ............ 1:1(5:3პ)

**ესპანეთი. სამეფო თასი**

ატლეტიკო-სევილია ............ 1:2
ვალენსია-ალავესი ............ 2:1
ესპანიოლი-ბარსელონა ............ 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ამიენი-მონპელიე ............ 1:1
ანჟე-ტრუა ............ 3:1
გენგამი-ლიონი ............ 0:2
ლილი-რენი ............ 1:2
მეცი-სტ.ეტიენი ............ 3:0
ტულუზა-ნანტი ............ 1:1
პსჟ-დიჟონი ............ 8:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 21 | 18 | 2 | 1 | 67:15 | 56 |
| 2.ლიონი | 21 | 13 | 6 | 2 | 49:21 | 45 |
| 3.მარსელი | 21 | 13 | 5 | 3 | 43:22 | 44 |
| 4.მონაკო | 21 | 13 | 4 | 4 | 48:21 | 43 |
| 5.ნანტი | 21 | 10 | 4 | 7 | 19:20 | 34 |
| 6.ნიცა | 21 | 9 | 4 | 8 | 27:31 | 31 |
| 7.გენგამი | 21 | 8 | 5 | 8 | 23:26 | 29 |
| 8.მონპელიე | 21 | 6 | 10 | 5 | 18:14 | 28 |
| 9.რენი | 21 | 8 | 4 | 9 | 26:30 | 28 |
| 10.კაენი | 21 | 8 | 3 | 10 | 14:22 | 27 |
| 11.დიჟონი | 21 | 7 | 4 | 10 | 29:42 | 25 |
| 12.სტრასბური | 21 | 6 | 6 | 9 | 24:35 | 24 |
| 13.ბორდო | 21 | 6 | 5 | 10 | 23:31 | 23 |
| 14.სტ.ეტიენი | 21 | 6 | 5 | 10 | 20:36 | 23 |
| 15.ანჟე | 21 | 4 | 10 | 7 | 25:31 | 22 |
| 16.ამიენი | 21 | 6 | 4 | 11 | 17:23 | 22 |
| 17.ლილი | 21 | 6 | 4 | 11 | 19:32 | 22 |
| 18.ტრუა | 21 | 6 | 3 | 12 | 21:31 | 21 |
| 19.ტულუზა | 21 | 5 | 5 | 11 | 19:30 | 20 |
| 20.მეცი | 21 | 4 | 3 | 14 | 17:35 | 15 |

**ჩოგბურთი**

**ავსტრალიის ღია პირველობა**

**კაცები**

ტიმი-კუდლა ............ 6:7,3:6,6:3,6:2,6:3
კიკერი-ლაცკო ............ 6:2,7:5,1:6,7:5
კუერი-ფუჩოვიჩი ............ 4:6,6:7,6:4,2:6
სმიჩეკი-რამოს ვინოლასი ..4:6,2:6,6:7
ბერდიხი-გარსია ლოპესი
6:3,2:6,6:2,6:3
ვესელი-მანარინო ............ 3:6,6:7,7:5,3:6
დონსკოი-ფოგნინი ............ 6:2,3:6,4:6,1:6
ხაჩანოვი-დელ პოტრო ............ 4:6,6:7,7:6,4:6
ჯოკოვიჩი-მონფისი ............ 4:6,6:3,6:1,6:3
გოფინი-ბენეტო ............ 6:1,6:7,1:6,6:7
ჩხუნი-მედვედევი ............ 7:6,6:1,6:1
გასკე-სონეგო ............ 6:2,6:2,6:3
ვერდასკომარტერერი
4:6,6:4,6:7,6:3,3:6
გოევჩიკი-ა.ზვერევი .... 1:6,3:6,6:4,3:6
სანდგრენი-ვავრინკა ............ 6:2,6:1,6:4

**ქალები**

კონტა-პერა ............ 4:6,5:7
არუაბარენა-სტრიცოვა ............ 3:6,4:6
ცურენკო-ა.რადვანსკა ............ 6:2,5:7,3:6
ვონდროუშოვა-გარსია ............ 7:6,2:6,6:8
შარაპოვა-სევასტოვა ............ 6:1,7:6
მუგურუზა-შე ............ 6:7,4:6
დეივისი-პეტკოვიჩი ............ 4:6,6:0,6:0
ლუჩიჩ ბარონი-სასნოვიჩი ............ 3:6,1:6
ბოგდანი-პუტინცევა ............ 1:6,6:2,6:3
მაია-პლიშკოვა ............ 1:6,1:6
შაფაროვა-კირსტეა ............ 6:2,6:4
კერბერი-ვეკიჩი ............ 6:4,6:1
ალექსანდროვა-კაზი ............ 0:6,1:6
ოსაკა-ვესნინა ............ 7:6,6:2
ჰალეპი-ბუზარი ............ 6:2,6:2
ბარტი-ჯორჯი ............ 5:7,6:4,6:1

# ზაზა ფაჩულია: „გუნდში დიდ ბიჭებზე მიწევს ზრუნვა“

ზაზა ფაჩულია ამერიკაში მხოლოდ ნბა-ს ჩემპიონობით არ არის ცნობილი. ქართველი კალათბურთელი ხშირად მონაწილეობს ქველმოქმედებაში. ბოლოს ზაზამ სან ფრანცისკოს ბიჭებისა და გოგონების კლუბს სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის 25.000 დოლარი გადაურიცხა.

ამ ღონისძიებაზე ქართველ ცენტრს ამერიკული მედია ესაუბრა და ამ მოკლე ინტერვიუს გთავაზობთ.

***– რადგან ბიჭებისა და გოგონების კლუბში ვართ, გვინდა გაიხსენოთ, თქვენ თუ გყავდათ ბავშვობაში მისაბაძი ადამიანი?***

– მე დავიბადე საბჭოთა კავშირში, მაგრამ 1991 წლიდან ჩემი ქვეყანა, საქართველო დამოუკიდებელი გახდა. მძიმე დრო იყო, თუმცა კალათბურთი ყოველთვის პოპულარული იყო. ჩემთვის მისაბაძი ადამიანები კი ჩემი მშობლები იყვნენ. მამა მოჭიდავე იყო, დედა კალათბურთელი. მათგან ძალიან ბევრი ვისწავლე. მაშინ არც სოციალური მედია იყო, არც საერთოდ ინტერნეტი. სიტუაცია მძიმე იყო, არ იყო ელექტროენერგია. ბედნიერი ვიყავი, რომ მყავდა მშობლები.

***– ასეთი კლუბის მსგავსი თუ არის საქართველოში?***

– ახლა ბევრი რამ შეიცვალა, ადრე კი, როცა ბავშვი ვიყავი, რა თქმა უნდა, არ იყო. მაგრამ საქართველო ყოველთვის იყო სპორტული ქვეყანა. ფეხბურთი ყოველთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა, კალათბურთი, ალბათ, მე-2 ადგილზეა, დღეისათვის რაგბიც ძალიან პოპულარული გახდა. სანამ კალათბურთზე ვივლიდი, 2 წელი ფეხბურთზე დავდიოდი. ასევე ვცურავდი.



ეს ყველაფერი კი ძალიან დამეხმარა. არ აქვს მნიშვნელობა, რომელ სპორტს მიყვები, დისციპლინა უმთავრესია. პროფესიული კუთხით ძალზე მნიშვნელოვანია გუნდურობაც. ფეხბურთს ნამდვილად აქვს ეს თვისება, ის კალათბურთში ფეხების მოძრაობაშიც ძალიან დამეხმარა. ამის მერე შევედი კალათბურთზე, სხვადასხვა სპორტში ძალების ცდა საოცარი გამოცდილება იყო. თავიდან მწვრთნელი კვირაში 4-ჯერ გვავარჯიშებდა და მერე და მერე ინტენსივობა გაიზარდა.

***– უორიორსის შემადგენლობაში ახლა თუ არის ახალბედა, რომელსაც რჩევებს აძლევთ ხოლმე?***

– როცა გუნდში გამოცდილი ვეტერანები არიან, ეს ახალბედებისთვის დიდი უპირატესობაა. მწვრთნელი ყველაფერს ვერ გასწავლის. გუნდში თამაში მხოლოდ იქსები და იგრეკები არ არის. ეს არის ცხოვრების წესი, ფიქრები, მიზნები, მიდგომები, მზადება, დისციპლინა... შენც თანდათან სწავლობ მცირე დეტალებს, ხერხებს ვეტერანებისგან. ახალბედობის ჟამს დიდ ვეტერანებთან მომიხდა ურთიერთობა – ჯუვან ჰოვარდთან, ტრეისი მაკგრეიდისთან, გრანტ ჰილთან... ასევე თავადაც გსურს, რომ ახალბედებს კარგი კვალი დაატყო, რადგან ცენტრი ვარ, უმთავრესად „დიდ ბიჭებზე“ მიწევს ზრუნვა. ჯორდან ბელი და დემიენ ჯონსი, აი, ეს 2 ბიჭი განსაკუთრებით. ორივე საოცარი ტალანტია, მათ დიდი მომავალი აქვთ. როცა შეგიძლია, რჩევით დაეხმარო, არ უნდა დაიზარო. ამ ბიჭებს მოსმენა და სწავლა უყვართ.

***– გვეტყვით კონკრეტულად, რას ასწავლით დემიენსა და ჯორდანს?***

– ეს არ იგეგმება, ყოველდღიური ცხოვრებაა. ერთ შემთხვევას გავიხსენებ – მე და ჯორდანი მოედანზე ერთად ვიყავით, მსაჯმა ჯარიმა ჩასტვინა. ჯორდანი მიიჭრა მასთან და დაუძახა – რეფ (მსაჯის შემოკლებული სახელი ინგლისურად). მაშინ ავუხსენი, რომ უმჯობესი იქნება, თუ მსაჯებს სახელებით მიმართავს, რადგან ეს აჩვენებს, რომ მათ პატივს სცემ, მათ ხომ კარგად იციან ჩვენი სახელები. ამის მერე ჯორდანი ყოველთვის მოდის მატჩის წინ და მეუბნება – დღეს ეს, ეს და ეს მსაჯი გვყავს თამაშზე. ძალიან მნიშვნელოვანია, კარიერა სწორი დეტალებით ააწყო მოედანზეც და მის მიღმაც. უმნიშვნელოვანესია, კარიერის დასაწყისშივე კარგი რეპუტაცია მოიპოვო.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## კიმ კარდაშიანი და კანიე უესტი მშობლები მესამედ გახდნენ



ამერიკელი ტელევარსკვლავი კიმ კარდაშიანი და მუსიკოსი კანიე უესტი მესამედ გახდნენ მშობლები. ამის შესახებ ინფორმაცია კარდაშიანმა საკუთარ ბლოგში განათავსა.

– მე და კანიე გახარებულები ვართ ჩვენი სრულიად ჯანმრთელი და მშვენიერი გოგონას დაბადებით, – ნათქვამია განცხადებაში.

კარდაშიანმა მადლობა გადაუხადა სუროგატ დედას, რომელიც მათ ბავშვს მუცლით ატარებდა. შეგახსენებთ, რომ ვარსკვლავურ წყვილს უკვე ჰყავს ორი ბავშვი, ბიჭი სეინტი და გოგონა ნორტი, რომლებიც ტელევარსკვლავის თქმით, დიდი მღელვარებით ელოდებიან პატარა დაიკოსთან შეხვედრას.

## დანიელ სუპერმოდელს სურათის გამოქვეყნებაზე უარი უთხრეს



დანიელმა სუპერმოდელმა ნინა აგდალმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომელშიც ნათქვამია, რომ მოდურმა ჟურნალმა მას თანამშრომლობაზე მისი ტანსრულობის მომიზეზებით უთხრა უარი.

ლეონარდო დი კაპრიოს ყოფილმა მეგობარმა გოგონამ დაწერა, რომ რამდენიმე თვის წინ მონაწილეობა მიიღო პროექტში, რომელიც თავად მას მოეწონა და მეტად პერსპექტიულად მიიჩნია. ამის შემდეგ მისმა აგენტმა მიიღო წერილი, რომელშიც ეწერა, რომ აგდალის ფოტოსურათს ჟურნალის გარეკანზე არ გამოაქვეყნებდნენ, ვინაიდან მისი გარეგნობა „განსხვავდებოდა პორტფოლიოში წარმოდგენილისგან და გამოცემის სტანდარტებს არ შეესაბამებოდა“. კონკრეტულად რომელ ჟურნალზეა საუბარი, უცნობია.

## გაქცეული ლეოპარდი ბრიტანულ სოფელს ხუთი დღე ატერორებდა

ბრიტანეთის კორნუოლის საგრაფოში დაიჭირეს ლეოპარდი, რომელიც კერძო ზოოპარკიდან გაიქცა და თითქმის ერთი კვირის მანძილზე ხოცავდა მინდორში მობალახე ცხვრებს.

მტაცებელი ცხოველი სოფელ გრიტ-ტრევერანის მცხოვრებს ეკუთვნოდა და მისგან წყალდიდობის დროს გაიქცა. ცხოველების დაჭერის სპეციალისტი ირწმუნებოდა, რომ ლეოპარდი შორს არ წავიდოდა და საბოლოოდ მეორე ლეოპარდთან დაბრუნდებოდა, რომელიც სამხეცეში დარჩა.

– თუმცა ის სულ სხვაგვარად მოიქცა, – ამტკიცებს ცხოველის პატრონის მეზობელი.



ლეოპარდი რამდენიმე დღე მინდვრებში იმალებოდა, სადაც ადგილობრივების თქმით, ბავშვები თამაშობენ. ის ფარდულში იმალებოდა და იმ მიდამოებში მობალახე ცხვრებზე ნადირობდა. მეხუთე დღეს ლეოპარდი მელიისთვის დაგებულ ერთ-ერთ ხაფანგში გაება. ის სამხეციდან დაახლოებით კილომეტრნახევარში დაიჭირეს.

თორმეტი წლის წინ ლეოპარდის პატრონმა სასამართლოს წყალობით მოიპოვა თავისი ლონდონური სახლის ბაღში მტაცებლების ყოლის უფლება. კორნუოლში გადასვლის შემდეგ მან ლიცენზია გააფორმა, რომელიც აუცილებელია სახიფათო გარეული ცხოველების ყოლისთვის.

## ბრიტანელი გოგონა ორი წამის გადაცილებისთვის დააჯარიმეს

ბრიტანეთის მცხოვრებმა გოგონამ ჯარიმის გადასახდელი ქვითარი მიიღო, რომელიც მას ავტოსადგომზე დროის ორი წამით გადაცილებისთვის გამოუწერეს. საკუთარი პრობლემის თაობაზე გოგონამ ერთ-ერთ გამოცემასთან ისაუბრა.



22 წლის ემი ბენდოლმა საკუთარი მანქანა ფიტნეს-კლუბთან მდებარე ავტოსადგომზე გააჩერა. ვარჯიშის შემდეგ ის ავტომობილთან დაბრუნდა, ხუთი საათის დგომის საფასური გადაიხადა და სახლში გაემგზავრა.

ოთხი დღის შემდეგ გოგონამ მიიღო 100 ფუნტ სტერლინგის ქვითარი, ავტოსადგომზე დგომის ვადისთვის, რომელიც გადახდილი ჰქონდა, ორი წამის გადაცილებისთვის. ქვითარს თან ჰქონდა დართული ფოტოსურათი, რომელზეც ჩანდა, რომ გოგონა სულ ორი წამით შეყოვნდა.

შეტყობინებაში აღნიშნული იყო, რომ თუ გოგონა ჯარიმას ორი კვირის ვადაში გადაიხდიდა, ჯარიმის თანხას 40 პროცენტით შეუმცირებდნენ. თუმცა ბენდოლმა გადაწყვიტა, გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა და წარმატებასაც მიაღწია: კომპანიამ ჯარიმა გაუუქმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 19 იანვარი



**ვერძი** – შესაფერისი დღეა კომერციული საქმიანობისათვის. იმპულსურობა და აჩქარება არ შეიძლება. **კურო** – ჯანმრთელობას მიხედეთ. პროფესიაში ყველაფერი რიგზე გაქვთ, თუმცა არ უნდა მოდუნდეთ. **ტყუპები** – აქტიური დასვენება და ფიზიკური დატვირთვა, ოღონდ გადაღლის გარეშე, გუნება-განწყობას საგრძნობლად გამოგიკეთებთ. **კირჩხიბი** – ახალი კონტაქტებისა და საქმიანი მოლაპარაკებებისათვის კეთილისმყოფელი დღეა. პარტნიორის დარწმუნება არ გიჭირთ. **ლომი** – ცდუნებას არ აჰყვეთ. გულისხმას მოუსმინეთ. დაბრკოლებების გადალახვისას საკუთარ თავში ახალ უნარებს აღმოაჩენთ. **ქალწული** – ემოციურად სახიფათო დღეა. სახლიდან ნუ გახვალთ. ყოველგვარი ვიზიტი სამომავლოდ გადადეთ. თქვენი მოთმინება სიმყუდროვისა და ნდობის ატმოსფეროს ქმნის. **სასწორი** – არცთუ სასიამოვნო მოულოდნელობა გელით. მოვლენების შემდგომ განვითარებას თქვენი რეაქცია განაპირობებს. **ღრიანკალი** – მკვეთრად დასამახსოვრებელი დღეა. კონფლიქტს თავიდან იუმორი აგაცილებთ. ნებისმიერ საქმეში ბედი გწყალობთ. **მშვილდოსანი** – პასიური დღეა. მარტო ყოფნა გსიამოვნებთ. ერიდეთ შეცდომის დაშვებას პროფესიულ საქმიანობაში. **თხის რქა** – ახალი საქმიანი ნაცნობობა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. საჭირო ადამიანების ყურადღებას მალე მიიპყრობთ. **მერწყული** – ნუ იაქტიურებთ. მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე. ყველაზე რთულ სიტუაციაში სწორ ორიენტაციას მოძებნით. **თევზები** – ყოველგვარი უსიამოვნება დაივიწყეთ, რადგან სიყვარულში ბედი ძალზე გწყალობთ. თქვენს დადებით თვისებებს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. მდინარე ნიუ იორკში; 2. ქიმიური ინდიკატორი; 3. თეორიული მექანიკის ნაწილი; 4. სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული საფრანგეთში; 5. ვაჭრობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 8. მაღალი, მორალური, ადამიანური ღირებულება; 9. არჩეული წარმომადგენელი; 12. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 13. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში; 16. მცირე ამპლიტუდის რხევები; 17. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 19. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 20. უბანი თბილისში.

**თარაზულად**: 6. უქნარა, უსაქმური ადამიანი; 7. ლომის, ვეფხვის ნაშიერი; 8. სანთლიდან ჩამონადენი წვეთი; 10. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 11. პოპულარული ბრაზილიური ყავა; 14. ძველი გერმანული ტომი; 15. სულიერი დაძაბუნებით გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობა; 18. საჭმელი სოკო; 21. ქართული ოდის აივანი; 22. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 23. უცხოური ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 24. ფრანგი მწერალი, მეიგავე.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ქანთრი; 2. იმიჯი; 3. „რიცი“; 5. ფიშერი; 6. ხრამი; 7. ნიქოზია; 11. რაპირა; 13. „ჩხავერი“; 14. სიდრი; 15. კუპდარი; 16. მაჯონგი; 17. კაბუკი; 19. ეთიკა; 20. მუდო.

**თარაზულად:** 1. ქეიბური; 4. გრაფი; 8. ცვილი; 9. შობა; 10. თეჯირი; 12. გომბორი; 14. სვია; 15. „კავკასია“; 16. „მედეა“; 18. ბოდბე; 21. ბერიო; 22. გრადუსი; 23. კოკაინი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. იმპორტი; 2. სურდინა; 3. ბიურგერი; 4. დელისი; 5. ჰარპუნი; 8. პარსეკი; 9. ბირთვისი; 12. ტრაულერი; 13. თავთუხი; 16. ჭყონდიდი; 17. ფერმერი; 19. „იბერია“; 20. ბეკონი.

**თარაზულად:** 6. ამაშუკელი; 7. „ძელშავი“; 8. პურადი; 10. გრაფიკა; 11. ზული; 14. ფლამენკო; 15. ჰამბურგი; 18. იყალთო; 21. ბახმარო; 22. ჰეიგი; 23. ალგეთი; 24. შიომღვიმე.

# ექვთიმე თაყაიშვილზე გადაღებულ ფილმს კინოთეატრებში აჩვენებენ



რეჟისორმა ნიკოლოზ ხომასურიძემ რამდენიმეწლიანი შრომა დაასრულა და არაერთი პრობლემის გადალახვის შემდეგ შექმნა მხატვრული ფილმი ქართული საგანძურის მცველ ექვთიმე თაყაიშვილზე.

„ექვთიმე ღვთისკაცი“ – ასე ეწოდება ფილმს, რომელშიც მთავარ როლს რეზო ჩხიკვიშვილი ასრულებს. ფილმი სხვადასხვა კომპანიისა და დაახლოებით 7 ათასი ადამიანის შემოწირულობით იქნა გადაღებული. ფილმისთვის მუსიკას მეგი გოგიტიძე და ქართული ხმების ტრიო ასრულებს.

თბილისში პრემიერა 20 იანვარს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება, მოგვიანებით კი ფილმი საქართველოს კინოთეატრებში გამოვა.

თბილისურ პრემიერამდე ექვთიმე თაყაიშვილზე გადაღებული ფილმი მის მშობლიურ სოფელ ლიხაურსა და ბათუმში აჩვენეს. ორივე ჩვენებამ სრული ანშლაგით ჩაიარა.

ინტერნეტში გავრცელდა ბათუმური პრემიერის შემდეგ გადაღებული 9 წლის ლუკას ფოტო, რომელმაც ფილმის ყურებისას ცრემლები ვერ შეიკავა.

**თამარ გუდავა:**

– ეს ფოტო ღირდა ალბათ ყველაფრად და ყველაფერი ამ წუთად! ბათუმში ფილმ „ექვთიმე ღვთისკაცის“ ნახვის შემდეგ პატარა ლუკას ემოციები და ლუკას მადლობა რეჟისორს ნიკოლოზ ხომასურიძეს. 20 იანვარს თბილისს წინ აქვს ეს ემოცია განსაცდელად!

ნიკოლოზ ხომასურიძე:

– უბედნიერესი ხარ რეჟისორი, როდესაც შენს ფილმს ასეთი განცდის მოტანა შეუძლია... მეც 9 წლის ვიყავი, როდესაც რეზო თაბუკაშვილის დოკუმენტურმა ფილმმა ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა.

მადლიერი ვარ ექვთიმე თაყაიშვილის, ქართველი ერისა და ჩვენი ფილმის ყველაზე ძლიერი და ერთგული შემოქმედებითი ჯგუფის, ექვთიმეს ლაშქრის!!! დიდი მადლობა ბათუმს, ლუკასა და ამ ფოტოს ავტორს.

# პავლე ნოზაძე 70 წლის იუბილეს აღნიშნავს



საქართველოს დამსახურებულ არტისტს, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიისა და საერთაშორისო პრემიების ლაურეატ პავლე ნოზაძეს 70 წელი უსრულდება.

იუბილარი მსახიობის დაბადების დღე 20 იანვარს მის მშობლიურ მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში აღინიშნება. საიუბილეო საღამოს პირველი მოქმედება დაეთმობა სპექტაკლს „არ დამივიწყო“, ხოლო მეორე მოქმედებაში წარმოდგენილი იქნება ნაწყვეტები ფილმებიდან და სპექტაკლებიდან „დიდრო“, „მე ვხედავ მზეს“, „ირინეს ბედნიერება“.

მოზარდ მაყურებელთა თეატრში მოღვაწეობის პერიოდში იუბილარმა მსახიობმა არაერთ რეჟისორთან იმუშავა და როგორც ქართული, ასევე უცხოური პიესების მიხედვით დადგმულ სპექტაკლებში ითამაშა.

პავლე ნოზაძეს მოზარდ მაყურებელთა თეატრში დაგეგმილ საიუბილეო საღამოზე 70 წლის იუბილეს კოლეგები და მეგობრები მიულოცავენ.

# სამგლოვიარო განცხადებები



ქ.სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის პირველი საშუალო სკოლის 1966 წლის Xბ კლასის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ, რომ გარდაიცვალა ჩვენი უსაყვარლესი, სათნო და კეთილშობილი თანაკლასელი

**მურად ანჯაფარიძე**

რომელსაც აუსრულებელ ოცნებად დარჩა მშობლიურ ქალაქ სოხუმში დაბრუნება და თანავუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს.

უფალს შევთხოვთ, არ მოაკლოს ღვთიური მადლი და ნათელი სასუფეველი შენს ლამაზ სულს!

**მიმოზა აბაშიძე, ნონა ნაცვლიშვილი, ნანული სურმავა, ეთერ შონია, ნათელა ასაბაშვილი, ნაზი ქვარცხავა, მზია სოფრომაძე, მურმან გაგუა, გურამ კაკულია, რეზო ცინარიძე, ზურიკო თოფურია, მერაბ გვალია**

მერაბ დგებუაძე ოჯახით მწუხარებით იუწყება მეგობრის, ღირსეული მამულიშვილის, სოხუმის კოლორიტის

**მურად ანჯაფარიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პატრიარქი 708 ბავშვს მონათლავს



21 იანვარს სამების საკათედრო ტაძარში ჩვილთა 52-ე საყოველთაო ნათლობა გაიმართება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ნათლული კიდევ 708 ბავშვი გახდება.

ნათლობის საიდუმლოს სასულიერო პირები შეასრულებენ. პატრიარქის ნათლულებს გადაეცემათ ნათლობის სანთელი, ჯვარი და ნათლობის მოწმობა. საყოველთაო ნათლობის დასრულების შემდეგ ილია მეორე სამებაში მიბრძანდება და თავის ნათლულებს დალოცავს.

საყოველთაო ნათლობის ინიციატივა მის უწმინდესობას ეკუთვნის. საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ილია მეორემ გამოთქვა სურვილი, რომ მშობლების თანხმობის შემთხვევაში ყოველი ჯვარდაწერილი ოჯახის მესამე და მომდევნო შვილის ნათლია მისი უწმინდესობა გახდებოდა. ინიციატივას მოსახლეობაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამჟამად ილია მეორეს 33 ათასზე მეტი ნათლული ჰყავს.

# მანანა დუმბაძეს ჰონორარი არ გადაუხადეს

მწერალმა მანანა დუმბაძემ თბილისის ფოტოფესტივალი 2017-ის შეკვეთა შეასრულა – ტექსტი თარგმნა, რომლის ჰონორარსაც სექტემბრიდან ელოდება:

– თბილისის ფოტოფესტივალ 2017-ის ფარგლებში პროექტის კოორდინატორმა ეკა ენუქიძემ შეგვიკვეთა ქართული გამოცემისთვის თარგმანი, რომელიც ვადაში შევასრულეთ. ჰონორარი სექტემბერში უნდა გადაეხადათ.



© Maiko Kudava

საქმე ისაა, რომ პროექტის კოორდინატორი ეკა რამდენჯერმე საერთოდ დაგვეკარგა ჰორიზონტიდან, არ პასუხობდა ზარებს, წერილებს, შიგადაშიგ რეკავდა და იმედს გვაძლევდა, აი, ხვალ, აი, ზეგო, მაგრამ თარგმანის საფასური დღემდე არ გადაუხდია.

სხვათა შორის, ის გამოცემა უკვე კარგა ხანია გამოვიდა და ალბათ მისი ამაყი შემდგენელი ფართოდ ავრცელებს მას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში. გამოცემის თანხა, რომელშიც ჩვენი ჰონორარიც იგულისხმებოდა, უცხოურმა ორგანიზაციამ საფრანგეთიდან პროექტს დიდი ხნის წინ გადაურიცხა, თუმცა ჩვენამდე არაფერი მოსულა. ჰონორარი არც მაინცდამაინც დიდია. არა მგონია, ამ თანხისთვის ღირდეს ამდენი კუკუდამალობანასა და „გადაგდება-გადმოგდების“ თამაში. ამიტომ ამჯერად მხოლოდ ამ „პოსტის“ გამოქვეყნებით შემოვიფარგლები, თქვენ კი ყველას გაფრთხილებთ, რომ თუ ოდესმე ვინმე ეკა ენუქიძემ თავად ან მეგობრის რეკომენდაციით, როგორც ჩემს შემთხვევაში მოხდა, თარგმანი შეგიკვეთათ, არ გაბრიყვდეთ! თუ არადა, მერე არ მითხრათ, არ გაგვაფრთხილესო.

# ალექსანდრე ბეგალიშვილი ჟურნალისტებმა გაანაწყენეს



მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი ალექსანდრე ბეგალიშვილი ჟურნალისტებმა გაანაწყენეს. ინტერნეტში გავრცელდა მისი ინტერვიუ სათაურით, „ბასიანზე გაიხსნა ოთახი. ბნელი ოთახია. შედიხარ და სექსი გაქვს. რომ გამოდიხარ, ვისთან იყავი, არ იცი“.

როგორც მოსალოდნელი იყო, მსახიობმა საზოგადოების კრიტიკა დაიმსახურა. განაწყენებულმა ხელოვანმა გადაწყვიტა, საჯარო განცხადება სოციალურ ქსელში გაეკეთებინა:

– დიდად არ მევასება სტატუსების წერა, მაგრამ იძულებული გავხდი, ზოგიერთებს ავუხსნა, რომ ჟურნალისტის ფრიად ინტელექტუალურად დალაგებული და დამონტაჟებული ინტერვიუს წყალობით გავიჩითე მაგარი სექსრაზვრატნი ბაბუა. მაგრამ არანაირ ოთახებში არ ვარ ნამყოფი. მე ვუპასუხე შეკითხვას, თუ რა აზრის ვარ ქართველ ქალებზე და ვთქვი, რომ არც ის მომწონდა, ჩემს ბავშვობაში დაკომპლექსებული და დაჩმორებული სექსშეზღუდული, ჰორმონებაჭრილი და ულვაშიანი გოგოები რომ ეძრობოდნენ და არც ის მხიბლავს, დღეს პრადვინუტობად რომ მიაჩნიათ რამდენიმე პარტნიორთან გულაობა.

ეს პირადად ჩემი აზრია და მეტი არაფერი. და თუ ამის გამო დასაჯ... ვარ, მოოოდიიით, მოოოდით, გამოიმეტეთ თქვენი ფეკალიები, იქნებ დაიცალოთ მაგ მძლ...საგან, ჩემო ბოლმიანო თანამემამულენოოო...

პ.ს. რაც შეგეხება შენ, ჟურნალისტო გოგონავ.. ერთს გეტყვი... ჯერ „ლ“ გაამყარე და მერე იფიქრე ინტერვიუებზე. ოკ?

# სირგვის ეკლესია მოწითალო ფერის თუნუქით გადახურეს

ბოლო პერიოდში გახშირდა შემთხვევები, როდესაც ეკლესიებს თუნუქის სახურავებით ხურავენ. სადგერის ეკლესიის შემდეგ, როგორც ჩანს, სირგვის ეკლესიის ჯერი დადგა, რომელიც ჯავახეთში მდებარეობს.

ინფორმაციას კუკური მეტრეველი ავრცელებს, რომელიც ჯავახეთში მდებარე ეკლესია-მონასტრების ფოტომემატიანეა:

– შეიძლება თავიც შემეკავებინა, მაგრამ გული არ მიჩერდება.

ეს მომცრო ეკლესია მდებარეობს ჯავახეთში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარალეთის ჩრდილოეთით, უძველესი სირგვის ნასოფლარის ტერიტორიაზე. მდინარის პირას შემაღლებულ ბორცვზე აშენებული, VII-IX საუკუნეებით დათარიღებული ერთნავიანი ბაზილიკა თავისი სამხრეთის ფასადის ორიგინალური შემკულობითა და საკმაოდ დახვეწილი ფორმებით გამოირჩევა.



სირგვის ეკლესია ერთ-ერთი უძველესი და მნიშვნელოვანი ქართული ისტორიული ძეგლია ჯავახეთში, რომელსაც ჩვენი ოფიციალური სტრუქტურებიდან დღემდე არ ექცევა არანაირი ყურადღება! ამის გამოა, რომ წლების განმავლობაში არაერთხელ მოხდა მისი უნებართვო და „უსწორმასწორო“ ამოშენება-გადახურვა და გაკეთება. ჯავახეთის უამრავი ქართული ტაძრის მსგავსად, მის გალავანშიც დაიდგა „ხაჩქარი“ და რკინის ჯვარი. ინტერიერი გაივსო გრიგორიანული სარწმუნოების ხატებითა და საეკლესიო ატრიბუტებით.

ეს მომცრო და კოპწია ტაძარი უკანასკნელად გასული წლის 7 დეკემბერს მოვინახულე და ამ ფოტოების ნაწილიც სწორედ მაშინაა გადაღებული. იმ დროისათვის ტაძარს ისევ „ძველი“ შიფერის სახურავი ეხურა და სისხამ დილით მშვიდად მოვახერხე მოლოცვა და „შენ ხარ ვენახის“ ცოტა ხნით წაღიღინებაც. ამ ცეროდენა ინტერიერში საოცარი აკუსტიკაა!

ზუსტად ერთი თვის თავზე, შობა დღეს, ამა წლის 7 იანვარს, გზის პირას მდებარე ამ ეკლესიის გვერდით, როგორც იქნა, შემთხვევით აიარა ერთმა ქართველმა ახალგაზრდამ, რომელმაც შეამჩნია, რომ ტაძარი ვილაცას ახალი, მოწითალო ფერის თუნუქით გადაეხურა. გულიანმა კაცმა, სამწუხაროდ, მისი გვარი და სახელი ჩემთვის უცნობია, ყოველი შემთხვევისათვის ბარალეთის დედათა მონასტერში იკითხა, მათი გაკეთებული ხომ არ იყო ფერითაც და ფორმითაც ასეთი „მორგებული“ გადახურვა? გაკვირვებულმა დედა სოსანამ იმ დღესვე ინახულა ახალგადახურული სირგვის ტაძარი, ოპერატიულად საქმის კურსში ჩააყენა ძეგლთა დაცვა და ყველა სხვა ორგანოც, რომლებსაც მსგავსი ძეგლების დაცვა და მოვლა-პატრონობა ევალებათ, ამ ფოტოების ნაწილი კიდევ ჩვენ გაგვიზიარა.

აქამდე სირგვის ტაძარს რომ ვერ ვუპატრონეთ, ამიტომ ვილაცამ საბოლოოდ იფიქრა მისი დაპატრონება... იმედია, ჩვენი სათანადო ორგანოები ამჯერად მაინც „იპოვიან“ ჩვენს ისტორიულ მემკვიდრეობაზე უკანონო მოძალადეს და მოხდება მისი კანონიერი დასჯა, თორემ ასეთი ფაქტები ჯავახეთში არც პირველია და არც უკანასკნელი იქნება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## პროგრამა

**პარასკევი 19 იანვარი**

07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 "მადაგასკარის პინგვინები" 09.00, 15.00, 18.00, 21.00 "მოამბე" 09.15 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 10.00 "ნათლისღება" 13.25, 20.00 ტ/სერ. **"ელემენტარული"** 14.30 დოკ/ფ "ჩამოთვლილთაგან არც ერთი" 15.30 დოკ/ფ 16.30 ტ/სერ. **"ტრიუმფი"** 18.30, დოკ/ფ "გონების თამაშები" 19.00 ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო"** 21.30 "კვირის ინტერვიუ" - ირაკლი აბსანძე 22.15 ტ/სერ. **"ომი და მშვიდობა"** 23.15 მხ/ფ **"ბედნიერებისაკენ სწრაფვა"** 01.08 მხ/ფ **"წარსული"** 03.16 "პირადი ექიმი" 04.19 მხ/ფ **"საბრალონი"** (უ.თურმანი)

06.30, 18.50, 19.03 სერ. **"დასაწყისი"** 3-4 სერ. 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, ქრონიკა 10.15, 11.20 სერ. **"ელიფი"** 12.30 იმედის დღე 14.40, 16.00 სერ. **"ტყუილი"** 17.45 სერ. **"ცოდვილი"** 18.25 "ავერსი"გათამაშება 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. **"დედა"** 23.30 სერ. **"სიყვარულისთვის"** 5 სერ. 01.00 მხ/ფ **"გაუჩინარებულები"** 02.45 მხ/ფ **"გვერდითი მოვლენები"** 05.00 მხ/ფ **"ვიცი, რომ დაბრუნდები"**

06.00, 18.50 სერ. **"მეორე შანსი"** 07.00, 20.03 სერ. **"დიდი ოჯახი"** 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. **"მფარველი ანგელოზი"** 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. **"ბედის ანაბარა"** 15.40 სერ. **"მზიანი დღეები"** 16.55 სერ. **"ოთხი ისტორია"** 22.00 მხ/ფ **"მაიტა ნასოსი"** 23.30 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 52 00.00, 01.00, 02.00 მხ/ფ 01.50 კურიერის დაიჯესტი

tv პირველი 7.50 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00 ქალების ნარატივი 12.00 სერ. **"რამონზე შეყვარებული"** 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება -NEWS 14.00, 16.00 ლევან ჩხაიძის დღის ამბები 15.00, 22.30 საქმის კურსი 17.50, 20.00 0.00, 2.00, მხ/ფ 23.00 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 23.30 სერ. **"დამალული სიმართლე"**

08.00 ან/ფ "ატომი" 09.00 სერ. **"ერთხელ ზღაპარში"** 12.00, 21.00 სერ. **"ელ პრინსიპე"** 13.00 სერ. **"კრიმინალური აზროვნება 7"** 17.00 სერ. **"ქუანტიკო 2"** 19.00 სერ. **"ჯაშუში 2"** 22.30 მხ/ფ **"ოლიმპოს დაცემა"** 00.45 მხ/ფ **"დაცემულნი"** 03.00 მხ/ფ **"პრესტიჟი"** 05.20 მხ/ფ **"შეთქმულების ისტორია"**

08.00 ანანდა 08.10 სისი 08.30 სერ. **"ბანდოლერა"** 10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, 00.00 ახალი ამბები 12.00 ბიზნეს კოდი 13.30, 17.30 ახალი ამბები არჩილ გამზარდიათან ერთად 14.30 ექიმის საათი 15.00, 02.00 მოდი გავეყაროთ 16.00, 3.00 ფაბრიკა 19.55 მე რომ ვიყო 20.00 დე ფაქტო 21.00 სერ. **" პირადი საქმე"** 22.00 სერ. **"ჯადოსნური ამბავი"** 23.00 ღია სტუდია 01.30 მხ/ფ

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 დ/ფ "ფრაგმენტები ტაო-კლარჯეთის ისტორიიდან" 07.20 დ/ფ "დედა ღვთისმშობელი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 საგალობელი 08.30 "განთიადი" 10.00 განცხადება უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი (ტრანსლაცია სამების ტაძრიდან) 13.50 კონცერტი - ერისიონი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.15 ნათლისღება - ბეთაბრა 15.30 მხ/ფ **"რაჭა ჩემი სიყვარული"** 16.50 კონცერტი - გოგი დოლიძის ხსოვნის საღამო 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.25 დ/ფ "ლელო ბურთი" 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.25 "განთიადი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.50 ძილი ნებისა 21.45 სადღესასწაულო სახარება - ნათლისღება 22.30 დ/ფ "განცხადება ნათლისა" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ასი" 00.15 მხ/ფ **"იავნანა"** 01.35 კონცერტი - ლიზა ბაგრატიონი 02.50 მხ/ფ **"ანდრეი რუბლიოვი"** 05.45 ეთნოგრაფიული ჩანახატი

მაესტრო 10.00 - 23.00 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) 10.30 - 3.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**19 იანვრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.5463 |
| ევრო | — 3.1154 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.5134 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.4951 |

## ამინდის პროგნოზი 19 იანვრისთვის








## 28 დეკემბრიდან
### ჩემი შემეცნებითი ახალი წელი

ამ წიგნით ბავშვები გააკეთებენ ნაძვის ხის სათამაშოებს, შექმნიან მისალოც ბარათებს, დახატავენ თოვლის ბაბუას, ააწყობენ ფაზლებს და ამ ყველაფრით სიამოვნებით დაკავდებიან საახალწლო არდადეგებზე. ამას გარდა, მას შესანიშნავად გამოიყენებენ საბავშვო ბაღებშიც...

**ფასი გაზეთთან ერთად 5.50 ლარი**




## 9 იანვრიდან
### ავთანდილ ბუხრაშვილის
# ქალი ჩანთაში

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**


## ნეიმარმა პსჟ-ს შემადგენლობაში პირველი პოკერი შეასრულა

პსჟ-ს ბრაზილიელმა ვარსკვლავმა ნეიმარმა ამ გუნდის შემადგენლობაში პირველი პოკერი შეასრულა. ნეიმარმა დიჟონს 4 გოლი გაუტანა და თავისი გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

პსჟ-მ დიჟონი 8:0 გაანადგურა და ლიდერობა კიდევ უფრო გაიმყარა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ედისონ კავანიმ პსჟ-ს შემადგენლობაში 156-ე გოლი გაიტანა და ამ მაჩვენებლით ის ზლატან იბრაჰიმოვიჩს გაუთანაბრდა, რომელიც პსჟ-ს ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი იყო.



ბუნებრივია, კავანი ამ მაჩვენებელზე არ გაჩერდება და ზლატანს გაუსწრებს.

## პაულინიომ ესპანიოლთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო

პაულინიომ ესპანიოლის წინააღმდეგ შეხვედრაში ტრავმა მიიღო და მას დროზე ადრე მოუხდა მოედნის დატოვება. ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანს გამოტოვებს პაულინიო და, სავარაუდოდ, მას ორი კვირის განმავლობაში მოუწევს უქმობა.

პაულინიოს არყოფნა ბარსელონისთვის დიდი დანაკლისია, რადგან ბრაზილიელი ნახევარმცველი ძალიან კარგ სეზონს ატარებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბარსელონა ესპანიოლთან დამარცხდა და 29-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა. ესპანიოლმა 1:0 მოიგო და განმეორებითი შეხვედრის წინ შანსები გაუჩნდა.



25 იანვარს ბარსელონა ესპანიოლს საკუთარ მოედანზე მიიღებს და იმ შეხვედრაში გადაწყდება, ვინ გავა ესპანეთის თასის ნახევარფინალში.

## პიკემ ბარსელონასთან კონტრაქტი გაახანგრძლივა

ჟერარდ პიკემ ბარსელონასთან კონტრაქტი 2022 წლამდე გაახანგრძლივა. პიკემ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ის ბარსელონაში აპირებს კარიერის დასრულებას და, სავარაუდოდ, ასეც მოხდება. პიკეს სატრანსფერო თანხა 500 მილიონი ევრო იქნება და, თუ ვინმეს მისი ყიდვა მოუნდება, სწორედ ამ თანხის გადახდა მოუწევს.



პიკე ბარსელონის აღზრდილია. ის კატალონიური გუნდის შემადგენლობაში 2008 წლიდან თამაშობს და ამ ხნის განმავლობაში უამრავი ტიტულის მოგება შეძლო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**



## იუმორი

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, მე შენ ჩემ ხელს და გულს გთავაზობდი, ტვინი სიაში არ ყოფილა.

•••

მამაკაცი ფსიქოლოგს ეუბნება:

– ჩემ ცხოვრებაში ყველაფერი კარგადაა, მაგრამ მწვავე შეგრძნებების ნაკლებობას განვიცდი და არ ვიცი, როგორ მივიღო?

– მაინც რა სცადეთ?

– პარაშუტითაც გადმოვხტი, წყალქვეშაც ჩავყვინთე, და ა.შ., მაგრამ რაიმე სიახლე, ახალი შეგრძნებები მჭირდება.

– საყვარელი გაიჩინე.

•••

მზარეული და ოფიციანტი კლიენტს სამზარეულოს ფანჯრიდან უყურებენ და მზარეული ეუბნება:

– შეხედე, მართლა ჭამს, გეფიცები, ჭამს!

•••

ბავშვი წერილს წერს:

– ძვირფასო თოვლის პაპავ, დაე, ახალ წელს ჩვენმა მთავრობამ და დეპუტატებმა უმწეოთა დახმარებაზე იცხოვრონ!

•••

პროფესორი სტუდენტს ეუბნება:

– გუშინ თქვენ ქალების საერთო საცხოვრებლის ტერიტორიაზე შეგნიშნეს. ამისთვის ჯარიმის 10 ლარის გადახდა მოგიწევთ, ხოლო თუ იგივე განმეორდება, მაშინ უკვე 25 ლარს გადაიხდით.

– ბატონო პროფესორო, ჩვენ სერიოზული ხალხი ვართ და მოდით პირდაპირ მითხარით, რა ღირს ერთი სემესტრის აბონემენტი?

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– გიყვარვარ?

– როგორ გითხრა... მიყვარს სასმელი და ქალები, მე და შენი საქმე კი უფრო სერიოზულია.

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ორ მამაკაცს ვხვდები და არ ვიცი, რომელი ავირჩიო.

– და გული რას გეუბნება?

– გული მეუბნება, გაანებე თავი, თორემ ქმარი გაიგებს და მოგკლავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 16 იანვრიდან
ალექსანდრე იასაღაშვილი




### „მგლის ბილიკი“

ქართული დეტექტივი ტომი 1

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 19 იანვრიდან
ალექსანდრე იასაღაშვილი




### შავი ვარდი

ქართული დეტექტივი ტომი 2

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 23 იანვრიდან
იორამ ჩადუნელი




### საზღაური

ქართული დეტექტივი ტომი 3

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 26 იანვრიდან
რომან გვენცაძე




### საბედისწერო გასროლა

ქართული დეტექტივი, ტომი 4

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 30 იანვრიდან
ჯემალ ჩახავა




### ქურდები და არიფები

ქართული დეტექტივი, ტომი 5

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**


## ადრიანა ლიმამ ჯაბა დიასამიძის კაბაში იპოზიორა

მსოფლიოში ცნობილმა სუპერმოდელმა ადრიანა ლიმამ ქართველი დიზაინერის ჯაბა დიასამიძის ულამაზეს შავ კაბაში იპოზიორა.

მოდელი შვეიცარიაში ერთ-ერთი დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე გამოცხადდა, სადაც ფოტოგრაფების ყურადღება მიიპყრო და სტუმრებისთვის გაშლილ ხალიჩაზე იპოზიორა.



ადრიანა ლიმა ქართველი დიზაინერის კაბით პირველად არ დაინტერესდა. რამდენიმე თვის წინ მან დემნა გვასალიას ულამაზესი თეთრი კაბა მოირგო და ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა.

რაც შეეხება ჯაბა დიასამიძეს, სუპერმოდელმა შავი კაბა დიზაინერის გასული წლის კოლექციიდან შეარჩია. თბილისურ ჩვენებაზე ეს კაბა თამთა შედანიას ეცვა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მსოფლიოს ვარსკვლავები ჯაბა დიასამიძის შემოქმედებით ინტერესდებიან. ანჯელინა ჯოლიმ ერთ-ერთი უცხოური ჟურნალისთვის სწორედ ჯაბა დიასამიძის ქუდით იპოზიორა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ამერიკული ზებგერითი სამხედრო-სადაზვერვო თვითმფრინავების სერია; 2. ლუდის დასაყენებელი ჭურჭელი ფშავ-ხევსურეთში; 3. შაქრის ლერწმისგან დამზადებული სპირტიანი სასმელი; 5. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 6. სამხრეთ კორეის დედაქალაქი; 7. ნილოსისპირა პოპულარული კურორტი ეგვიპტეში; 11. შენიშვნა-განმარტება ნაბეჭდ ტექსტში; 13. ნახევარკუნძული ევროპაში; 14. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 15. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური პოლონეთში; 16. ძველი ეპოქის, შორეული წარსულის ნივთი, ორგანიზმი, გადმონაშთი; 17. ზღვის ცხოველი; 19. ცირკის მოედანი; 20. ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაცია.

**თარაზულად**: 1. რაიონული ცენტრი იმერეთში; 4. დაბალი ხის მაგიდა; 8. მჭიდროდ ნაქსოვი შალის ქსოვილი; 9. დამრიგებელი, სულიერი მოძღვარი ინდოეთში; 10. დუმფარასნაირთა ოჯახის წყლის ყვავილოვანი მცენარე; 12. შაქრის შემცვლელი დიაბეტით დაავადებულთათვის; 14. ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი გერმანიაში; 15. მაიმუნის ერთ-ერთი სახეობა; 16. სილვესტერ სტალონეს კინოპერსონაჟი; 18. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 21. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. კიდულ ლიანდაგზე მოძრავი ტვირთის ასაწევი მოწყობილობა; 23. ზღვის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

